პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

კვირა,
14
თებერვალი
1937 წ.
№ 37 (4838)

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

საქართველოს ხალხის გმირულ ბრძოლათა და გამარჯვებათა მატიანში ახალი ბრწყინვალე ფურცელი გადაიშალა: საბჭოების VIII საგანგებო ყრილობამ დაამტკიცა საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუცია.

სტალინური კონსტიტუციის სახელოვანი საბრძოლო დროშით — წინ, ახალ-ახალი გამარჯვებისკენ!

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

შენ, სსრ კავშირის ხალხთა და მთელი მსოფლიოს ჩაგრულ მშრომელთა დიდ ბელადს, ჩვენს ძვირფას მამასა და მასწავლებელს ქართველი ხალხის სახელით აღგზნებული სიყვარულისა და ერთგულების მხურვალე სიტყვით მოგმართავს სრულიად-საქართველოს საბჭოთა საგანგებო VIII ყრილობა, რომელიც შეიკრიბა საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის განსახილველად და მისაღებად.

მიღება ახალი კონსტიტუციისა, რომელიც აგებულია სსრ კავშირის სტალინურ კონსტიტუციაში აღბეჭდილ დიად პრინციპებზე, დებულებებსა და უფლებებზე, არის სიხარულით სავსე საყოველთაო სახალხო დღესასწაული; ის ახალ ფურცელს შლის ქართველი ხალხის ისტორიაში, ჩვენი რესპუბლიკის ბედნიერ და სამურ ცხოვრებაში.

ამ ბედნიერ ცხოვრებამდე მოგვიყვანა ჩვენ კომუნისტურმა პარტიამ, მისმა დიდმა ბელადებმა **ლენინმა და სტალინმა.** საბჭოთა კავშირის ხალხები შეურყეველ ციხე-სიმაგრედ არიან შემჭიდროვებულნი ბოლშევიკების პარტიის გარშემო.

შენსკენ, ვინც ლენინის შემდეგ უზრუნველჰყავი საბჭოთა ქვეყნის ბრძნული ხელმძღვანელობა და მიიყვანე იგი დღევანდელი დღის სიხარულამდე, შენსკენ, ვისი ხელმძღვანელობითაც გადალახულია უდიდესი სიძნელენი და მოპოვებულია სოციალიზმის ისტორიული გამარჯვებანი, — შენსკენაა მიმართული ჩვენი მხურვალე სალამისა და უზომო მადლობის სიტყვები.

საუკუნეებით იელვებს შენი სახელი, დიდებითა და მილიონთა სიყვარულით მოსილი; მთელი მსოფლიოს მშრომელნი საუკუნეთა სივრცეზე გაატარებენ ამ სახელს, როგორც საბჭოთა სახელმწიფოებრიობის დიდი შემოქმედის, სოციალისტური წყობილების ძირითადი კანონის შემოქმედის სახელს, კანონის, რომელიც ადამიანთა მთელი საზოგადოების კანონად გახდება.

შენ აღმართე კონსტიტუციის დროშა, როგორც სოციალიზმის გამარჯვებათა დროშა, იმ ქვეყანაში, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას ჯერ კიდევ არ სცოდნია, ქვეყანაში, სადაც არ არის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, სადაც ცხოვრებას დაეუფლა ახალი მუშათა კლასი, ახალი გლეხობა, ახალი ინტელიგენცია, სადაც ჰყვავის ჭეშმარიტი დემოკრატიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი.

საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობის ისტორიულ დღეებში კრემლის ტრიბუნიდან მთელს მსოფლიოში გაისმა შენი ბრძნული სიტყვები; ამ სიტყვებში მოცემულია დიდი შეჯამება სსრ კავშირის ხალხთა ბრძოლისა და გამარჯვებებისა, რაც ჩაწერილია სსრ კავშირის კონსტიტუციაში — ამ უდიდეს ისტორიულ დოკუმენტში, რომელიც მოწმობს იმას, **„რომ ის, რაზედაც ოცნებობდნენ და განაგრძობენ ოცნებას მილიონობით პატიოსანი ადამიანები კაპიტალისტურ ქვეყნებში, — უკვე განხორციელებულია სსრ კავშირში“.**

ეს სიტყვები გვაფრთოვანებს ახალი ძალით, ანთებს ჩვენს გულში უსაზღვრო სიყვარულის გრძნობას სოციალისტური სამშობლოსადმი, დიდი საბჭოთა კავშირისადმი — მშრომელთა სამშობლოსადმი, მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა სამშობლოსადმი.

სოციალიზმის ქვეყნის მიმართ გაფთრებული გაბოროტებითა და სიძულვილით ცოფსა ჰყრიან ფაშიზმის შავბნელი ძალები, რომელნიც ამზადებენ ლაშქრობას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რათა ჩაახშონ მათთვის საძულველი მუშათა და გლეხთა პირველი სოციალისტური სახელმწიფო მსოფლიოში.

ფაშისტური ბურჟუაზიის საზიზღარი მსახურნი— ტროცკისტ-ზინოვიეველი კონტრრევოლუციონერები, გერმანიისა და იაპონიის ოხრანკის ჯაშუშები, დივერსანტები და ტერორისტები, მემარჯვენე გარეწრები. ნაციონალ-შოვინისტი არამზადები და თვალთმაქცნი, მენშევიკების, მუსავატელებისა და დაშნაკელებს ნამსხვრევებთან დაკავშირებულნი აწარმოებენ ძირგამომთხრელ მუშაობას სსრ კავშირში კაპიტალიზმის რესტავრაციის მიზნით, საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის აყვავებული ნაციონალური რესპუბლიკების ჩახშობის მიზნით.

მთელი ქართველი ხალხის ზიზღითა და შეჩვენე- [illegible] ქართველი კონტრრევოლუციონერი ტროცკისტებისა, რომლებიც გადაგვარდნენ ტერორისტთა, ბანდიტთა, ჯაშუშთა და მკვლელთა გამხეცებულ ხროვად.

ქართველმა ხალხმა ერთსულოვნად მოიწონა და კმაყოფილებით შეხვდა უზენაესი სასამართლოს განაჩენს, რომლებიც ამ სასამართლომ გამოუტანა ბანდიტებს იუდა-ტროცკის ხროვიდან.

ჩვენ ბოლომდე აღმოვფხვრით და ძირფესვიანად მოვსპობთ ფაშისტური ოხრანკების აგენტთა ამ საზიზღარ ხროვას და მათს ხელის შემწყობთ, მთელის დაუნდობლობით და სტალინური შეურიგებლობით ვამხელთ მათს მუხანათურ მანევრებს და მუდამ, ჩვენი ბრძოლისა და მუშაობის ყოველ ნაბიჯზე გვეხსომება შენი ბრძნული მითითებანი იმის შესახებ, რომ აუცილებელია დაუღალავად ვზარდოთ რევოლუციური სიფხიზლე ხალხის გამხეცებული მტრების საზიზღარი ოინების მიმართ.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ახალი ძლიერი აღმავლობით ხვდება საბჭოთა საქართველო ახალი კონსტიტუციის მიღებას.

მუშები, კოლმეურნენი და მშრომელი ინტელიგენცია აათკეცებენ რევოლუციურ სიფხიზლეს, სტახანოვური მოძრაობის ახალი აღმავლობით სპობენ ვერაგ ტროცკისტ გადაგვარებულთა მავნებლობას შედეგებს.

სტალინური კონსტიტუცია კიდევ უფრო მჭიდროდ აკავშირებს საბჭოთა საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის ხალხთა ძმურ ოჯახს, მას ახალ საფეხურზე აჰყავს ხალხთა ძმური ერთობა და სტალინური მეგობრობა, იგი ანმტკიცებს იმ წარმატებებს, რომლებიც მოგვიტანა ამიერ-კავკასიის ფედერაციამ, რამაც თავისი უდიდესი ისტორიული როლი ითამაშა.

ჩვენ გვაფრთოვანებს ამ დაუვიწყარ დღეებში დიდი სიამაყის გრძნობა, რომ ვიბრძვით კომუნიზმის ახალ-ახალი გამარჯვებისათვის და ვიმარჯვებთ დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით!

ჩვენ გვაფრთოვანებს ის აზრი, რომ არ არსებობს იმაზე მეტი პატივი, სიხარული და ბედნიერება, ვიდრე მებრძოლად ყოფნა სოციალიზმის მშენებელთა იმ დიადი არმიისა, რომელსაც მეთაურობ და მიუძღვი შენ — კომუნიზმის დიდო ბელადო!

ჩვენ თვალისჩინივით გავუფრთხილდებით სტალინურ კონსტიტუციას, რომლის ოქროს სიტყვები გამსჭვალულია უდიდესი ზრუნვით ადამიანზე, აღსავსეა დიდი სიყვარულით მშრომელებისადმი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ვიქნებით მოწმენი მომავალი, კიდევ უფრო დიდებული დღეებისა, როდესაც კვლავ მოვისმენთ ბრძნულ სტალინურ სიტყვას, რომელიც შეაჯამებს კომუნიზმის უმაღლესი ფაზის აგებას!

სტალინური კონსტიტუციის დროშით მიდის ქართველი ხალხი კიდევ უფრო მეტი აყვავებისაკენ, კიდევ უფრო მეტი სიხარულისა და სიუხვისაკენ.

და არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ამ ძლევამოსილი წინსვლის შეჩერება.

არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ჩააქროს კომუნიზმის ელვარე სტალინური ჩირაღდანი, რომელიც ანთებულია მილიონ მშრომელთა გულში!

ჩვენ ამაყად დაგვიფრიალებს თავს დიადი წითელი დროშა.

ეს დროშა — სტალინური კონსტიტუციაა.

ეს დროშა ურღვევი კანონია ადამიანთა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბედნიერებისა.

ეს დროშა — დიდი **სტალინია.**

ამ დროშის ქვეშ მთელი მსოფლიოს მშრომელნი უძლეველნი არიან.

გაუმარჯოს დიად სტალინურ კონსტიტუციას!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს, **ლენინ-სტალინის** გენიით შექმნილ მძლავრ მრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოს!

გაუმარჯოს მძლავრი სტალინური ქვეყნის ძლავრ მთავრობას!

მრავალჟამიერ იცოცხლოს მტრების თავზარდასაცემად და მთელი მსოფლიოს მშრომელთა სასიხარულოდ სსრ კავშირის ხალხთა და მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა დიდმა ბელადმა, დიადი კონსტიტუციის შემოქმედმა, ჩვენმა საყვარელმა მამამ, მასწავლებელმა, მეგობარმა ამხანაგმა **სტალინმა!**

მოსკოვი

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ამხ. მ. ი. კალინინს

სსრ კავშირის სახკომსაბჭო ამხ. ვ მ. მოლოტოვს

საქართველოს სსრ-ის ახალი კონსტიტუციის განსახილველად და მისაღებად შეკრებილი სრულიად-საქართველოს საბჭოთა მერვე ყრილობა მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, ლენინისა და სტალინის სახელოვან თანამებრძოლთ, მსოფლიოში პირველი მძლავრი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის ხელმძღვანელებს.

საბჭოთა კავშირის სტალინური კონსტიტუციის დიადი პრინციპების საფუძველზე შემუშავებული საქართველოს სსრ-ის ახალი კონსტიტუციის დამტკიცების ისტორიულ დღეს—ჩვენი თვალი სიყვარულითა და აღტაცებით მიპყრობილია გმირი რუსი ხალხისაკენ, რომელმაც, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, პირველმა აღმართა სახელოვანი დროშა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა, რომელმაც ჭეშმარიტი განთავისუფლება მოუტანა წინათ ჩაგრულ ხალხებს.

ქართველმა ხალხმა გაიარა თაქალთა, აზნაურთა და უცხო დამპყრობელთაგან ჩაგვრის საუკუნეები, მან განიცადა მეფის თვითმპყრობელობის უღელი და მენშევიკების კაბალა, მენშევიკებისა, რომლებმაც საქართველო ბოლომდე გაანადგურეს და ქართველი ხალხის ინტერესები დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებს მიჰყიდეს.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 16 წლის მანძილზე ჩვენი ქვეყანა იმდენად შეიცვალა, რომ მას ველარ იცნობთ: პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა ენტუზიაზმმა, საკავშირო საბჭოთა მთავრობის განსაკუთრებულმა ყურადღებამ და დახმარებამ უზრუნველჰყვეს ის, რომ უმაგალითოდ აყვავდა საბჭოთა საქართველო—დიდი საბჭოთა კავშირის ერთი თერთმეტ თანასწორუფლებიან რესპუბლიკათაგანი.

ამ გამარჯვებებს ქართველმა ხალხმა მიაღწია ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დროშით.

სამგზის საზიზღარ კონტრრევოლუციონერ ტროცკისტ-ზინოვიეველებს და მათს აგენტურას საქართველოში—ქართველ კონტრრევოლუციონერ ტროცკისტებს, რომელთაც თავი მიჰყიდეს გერმანიისა და იაპონიის ფაშისტურ კონტრდაზვერვებს, უნდოდათ ჩვენი ხალხის თავისუფლების ჩახშობა. ისინი ამზადებდნენ ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, უნდოდათ კვლავ დაედგათ ჩვენი თავისუფლების მოყვარული ხალხისათვის თავადაზნაურული, მემამულური ჩაგვრისა და დამცირების უღელი.

ყველაფერს, რაც მოპოვებულია შეუპოვარი გმირული ბრძოლებით, ყველაფერს, რაც აღბეჭდილია კონსტიტუციაში, ხალხი იცავს და უფრთხილდება, როგორც თვალის ჩინს. ის არასოდეს არავის არ მისცემს ნებას ხელი ახლონ მის მონაპოვარს. კეთილი არ დაადგება იმ ხელს, რომელსაც გამოიწოდებენ ისტორიის ჩარხის უკუღმა მოსაბრუნებლად. ხალხის მრისხანების მძლავრი ქარიშხალი დაატყდა თავს საზიზღარ გამცემლებს, ტერორისტებს, ჯაშუშებს, მავნებლებს და ომის ცეცხლის გამჩაღებლებს იუდა-ტროცკის ფაშისტური ბანდიდან.

ფაშისტთა დაქირავებული ნაძირალები, სოციალიზმის დაუძინებელი მტრები მხილებულ იქნენ, მათ დანაშაულზე წაასწრეს და დამსახურებული სასჯელი მიუზღეს.

ახალი კონსტიტუცია კიდევ უფრო მჭიდროდ აკავშირებს საბჭოთა საქართველოს ხალხთა ძმურ ოჯახს, კიდევ უფრო აძლიერებს საბჭოთა ქვეყნის ხალხთა დიად სტალინურ მეგობრობას.

ეს მეგობრობა სამარადისოდ შედუღებულია იმ ბრძოლით, რომელსაც საქართველოს მშრომელები, რუსეთის გმირი პროლეტარიატის დახმარებით, აწარმოებდნენ ცარიზმის წინააღმდეგ, მენშევიკური სატრაპებისა და საერთაშორისო ინტერვენტების წინააღმდეგ.

ბრძოლის ამ დიად დღეებს არასოდეს არ დაივიწყებენ საბჭოთა საქართველოს ხალხები.

მათში პოულობენ ისინი შთაგონებას და ახალ ენერგიას სოციალისტური მშენებლობის შემდგომი წარმატებისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს მძლავრი საბჭოთა ქვეყნის მძლავრ სტალინურ მთავრობას!

გაუმარჯოს ამხანაგებს **კალინინს და მოლოტოვს!**

გაუმარჯოს ახალი საბჭოთა კონსტიტუციის გენიალურ შემოქმედს, ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს—დიდ **სტალინს!**

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ ძმობას!

○ ○ ○

აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ჯაფარ ბაგიროვს

აზერბეიჯანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. უსეინ რახმანოვს

აზერბეიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. მეჯიდ ეფენდიევს

სრულიად-საქართველოს საბჭოთა საგანგებო მე-8 ყრილობა, რომელიც შეიკრიბა საქართველოს სსრ-ის ახალი კონსტიტუციის განსახილველად და მისაღებად, საქართველოს მუშათა, გლეხთა და მშრომელი ინტელიგენციის სახელით მხურვალე ძმურ სალამს უძღვნის აზერბეიჯანის მოძმე ხალხს, ბაქოს ნავთის სახელოვან გმირ მუშაკებს.

სტალინურმა კონსტიტუციამ ახალი ფურცელი გადაშალა ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიაში, ხალხთა, რომელნიც ლენინურ - სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დროშის ქვეშ შეკავშირებული არიან მჭიდრო, ძმურ ოჯახად: საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკები უშუალოდ შედიან საბჭოთა კავშირის თანასწორუფლებიან რესპუბლიკათა დიდ ოჯახში. სტალინურ კონსტიტუციას ახალ საფეხურზე აჰყავს ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმური მეგობრობა და ჰშლის ნაციონალურ რესპუბლიკათა შემდგომი მძლავრი სამეურნეო და კულტურული აყვავების ახალ პერსპექტივებს.

მოიშორა რა ბეგებისა და კაპიტალისტების მუსავატისტური უღელი და განდევნა რა იმპერიალისტი ინტერვენტები, აზერბეიჯანის ხალხმა რომლის პირველ რიგებში დგას ბაქოს გმირი პროლეტარიატი, გაიარა სახელოვანი გზა ბრძოლისა და გამარჯვებებისა სოციალიზმის დასამყარებლად.

განუზომელია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მშრომელთა რისხვა და სიძულვილი ხალხის მოსისხლე მტრებისადმი — კონტრრევოლუციონერი ტროცკისტი ბანდიტებისა, დივერსანტებისა, ჯაშუშებისა, მათი კონტრრევოლუციონერი ნაციონალისტი აგენტებისადმი.

მივდევთ რა დიდი **სტალინის** ბრძნულ მითითებებს, კიდევ უფრო გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე, რათა მოვსპოთ ხალხის მტრები, სამშობლოს მოღალატენი, რომლებმაც თავი მიჰყიდეს ფაშისტურ ოხრანკას.

ჩვენი დიდი პარტიისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის ამხანაგ **სტალინის** განუსაზღვრელად ერთგული აზერბეიჯანელი ხალხი ულმობელად გაანადგურებს კლასობრივი მტრის გაბოროტებულ ნაძირალებს და, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან მჭიდრო მეგობრობაში გასწევს კომუნიზმის ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიისა და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს ბაქოს გმირ პროლეტარიატს, მოძმე აზერბეიჯანელ ხალხს!

გაუმარჯოს ადამიანთა ბედნიერების დიად ქარტიას — სსრ კავშირის სტალინურ კონსტიტუციას!

გაუმარჯოს დიდ მამას, ხალხთა ბელადს, ჩვენს მშობლიურ **სტალინს!**

გადაფრენა მოსკოვი-უელენი-მოსკოვი

სვერდლოვსკი, 11 თებერვალი (საქდესი). ორდენოსანი მფრინავი ამხ. ფარიხი, რომელიც თვითმფრინავით „ნ—120“ ახდენს არქტიკულ გადაფრენას, დღეს, 15 საათსა და 30 წუთზე, უვნებლად დაეშვა სვერდლოვსკის აეროდრომზე, მანძილი ყაზანიდან სვერდლოვსკამდე, ძლიერ ზღვავად არახელსაყრელი ამინდისა, გავლილ იქნა 4 საათისა და 15 წუთის განმავლობაში. მანქანა კარგად მუშაობს.

ხვალ დილით ამხ. ფარიხი აპირებს გაფრინდეს ომსკისაკენ.

ამხ. ფარიხი სვერდლოვსკიდან გაფრინდა ომსკისაკენ

სვერდლოვსკი, 12 თებერვალი (საქდესი). ორდენოსანი მფრინავი ამხ. ფარიხი, რომელიც თვითმფრინავით „ნ—120“ ახდენს არქტიკულ გადაფრენას მოსკოვი—უელენი—მოსკოვი, დღეს, 7 საათსა და 45 წუთზე მოსკოვის დროით, აფრინდა სვერდლოვსკის აეროდრომიდან და გასწია ომსკისაკენ.

ამხ. ლავრენტი ბერია ყრილობის პრეზიდიუმში.

სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ. მდივანს ამხ. ამო ამატუნის

სომხეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. აბრამ გულოიანს

სომხეთის ცაკის თავმჯდომარეს ამხ. გიორგი ანესოვლიანს

საქართველოს სსრ-ის ახალი კონსტიტუციის განსახილველად და მისაღებად შეკრებილი სრულიად-საქართველოს საბჭოთა მე-8 ყრილობა რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით მხურვალე სალამს უძღვნის თქვენი სახით სომხეთის მოძმე ხალხს.

დაამხო რა იმპერიალიზმის მოსყიდული აგენტების—დაშნაკების საზიზღარი უღელი, სომხეთის ხალხმა, ამიერ-კავკასიისა და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში, ლენინ-სტალინის დიდი პარტიის ხელმძღვანელობით უდიდესი წარმატებანი მოიპოვა სოციალიზმის მშენებლობაში.

დიდი **სტალინის** ბრძნულმა სიტყვებმა იმის შესახებ, რომ „მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების იდეამ მოუტანა სომხეთს მშვიდობიანობა და ნაციონალური განახლების შესაძლებლობა“, ხორცი შეისხეს სოციალისტური მშენებლობის უდიდეს გამარჯვებებში, რაც საბჭოთა სომხეთის მშრომელებმა მოიპოვეს ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით.

სომხეთის კომუნისტურმა პარტიამ გაანადგურა ხალხის უბოროტესი მტრები—კონტრრევოლუციონერი ტროცკისტ - ფაშისტი ბანდიტები, ჯაშუშები და დივერსანტები, დაშნაკთა ნაბოლარები — ბურჟუაზიული ნაციონალისტები, რომელნიც ლამობდნენ წაერთმიათ სომხეთის მშრომელებისათვის მათი სამური და ბედნიერი ცხოვრება.

სრულიად-საქართველოს საბჭოთა საგანგებო მე-8 ყრილობა, საბჭოთა საქართველოს მუშათა, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის სახელით, მხურვალე სალამს უძღვნის მოძმე სომეხ ხალხს, რომელიც ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმურ ოჯახში მჭიდროდ შეკავშირებულია ბოლშევიკური პარტიისა და ხალხთა დიდი ბელადის—ამხანაგ **სტალინის** გარშემო ლენინურ-სტალინური ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ.

აღორძინებულმა სომეხმა ხალხმა მოიპოვა სოციალისტური მშენებლობის ისტორიული წარმატებანი.

წინ კიდევ უფრო შესანიშნავი გამარჯვებანი და მიღწევებია.

გაუმარჯოს მოძმე სომეხ ხალხს!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიისა და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს ჩვენს მშობლიურ **სტალინს!**

საქართველოს სსრ კონსტიტუციის საბოლოო ტექსტის დასადგენად გამოყოფილი სარედაქციო კომისიის შემადგენლობა

1. **რ. მ. აბრამოვი** — ფეხსაცმლის ფაბრიკის № 2-ის სტახანოველი მუშა, თბილისი.
2. **ა .ა. აგრბა**—აფხაზეთი.
3. **გ. ა. არუთინოვი.**
4. **დ. ბ. აშხაცავა** — ტყვარჩელნახშირის მემანქანე ელექტრიკოსი, ორდენოსანი.
5. **პ. ნ. ბარბაქაძე** — ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჰაბუკიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ორდენოსანი.
6. **ე. ლ. ბარძიმაძე**—ბორჯომის რაიონის ციხისჯვრის საბჭოთა მეურნეობის მწველავი ქალი, ორდენოსანი.
7. **ვ. მ. ბაქრაძე.**
8. **ლ. პ. ბერია.**
9. **ე. ა. ბედია.**
10. **ი. მ. ბუაჩიძე** — მე-63 ქართული დივიზიის მეთაური—კომისარი.
11. **ა. ა. ვასაძე**—სსრკ-ის სახალხო არტისტი, ორდენოსანი.
12. **ა. გ. გეურქოვი** — საქართველოს კ.პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი.
13. **ვ. გ. გაფრინდაშვილი** — ხაშურის დეპოს მემანქანე, ორდენოსანი.
14. **გარიბ ჰასლან-ოღლი**—ბორჩალოს რაიონის ზარბაჩის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, ორდენოსანი.
15. **ვ. ი. გაფრინდაშვილი**—პოეტი.
16. **მ. ა. გობეჩია** — საქართველოს კ.პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი.
17. **ხ. ა. გოგლიძე.**
18. **ვ. გ. გრიგორიანი**—გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი.
19. **ა. ი. გურგენიძე** — სოფელ ორთაბათომის (აჭარა) ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ჩაის მკრეფელი ქალი, ორდენოსანი.
20. **ვ. გ. დარახველიძე.**
21. **ი. პ. ჯიჯოევი**—სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკის თავმჯდომარე.
22. **ვ. გ. დეკანოზოვი**—საქართველოს კვებმრეწველობის სახალხო კომისარი.
23. **ა. ჯანელიძე** — პროფესორი, ორდენოსანი.
24. **თ. გ. ელენტი** — საქართველოს სსრ ცაკის მდივანი.
25. **ზ. კ. ზეინალოვი** — საქართველოს კ.პ. (ბ) ახალციხის რაიკომის მდივანი.
26. **ა. მ. კეკელია.**
27. **ე. ხ. კალანდაძე**—გორის რაიონული აღმასკომის თავმჯდომარე.
28. **გ. დ. ყურულაშვილი**—საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარი.
29. **ნ. ა. კოჩიევა** — ჯავის რაიონის 26 კომუნარის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი ქალი, ორდენოსანი.
30. **მ. კ. ლევანდოვსკი**—ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი.
31. **ზ. დ. ლორთქიფანიძე** — აჭარის ასსრ ცაკის თავმჯდომარე.
32. **შ. ხ. მათიკაშვილი** — საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი.
33. **ფ. ე. მახარაძე**—სარედაქციო კომისიის თავმჯდომარე.
34. **ს. ხ. მამულოვი.**
35. **გ. ა. მგალობლიშვილი.**
36. **ა. ი. მგელაძე** — საქართველოს ალკკ ც. კ-ის მდივანი.
37. **ვ. ნ. მერკულოვი.**
38. **ვ. ე. მეტონიძე**—საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარი.
39. **გ. ა. მუშიშვილი** — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი.
40. **მ. ტ. ნიორაძე** — თბილისის საბჭოს თავმჯდომარე.
41. **ელ. ოგანეზოვა**—თბილისის მაკარონის ფაბრიკის მუშა.
42. **კ. შ. ორაგველიძე** — სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.
43. **ნ. ე. ფანცხავა**—საქართველოს შინავაჭრობის სახალხო კომისარი.
44. **ვ. ლ. პავერმანი**—ამიერკავკასიის რკინიგზების უფროსი.
45. **ვ. ვ. სამხარაძე** — ჭიათურის მაღაროების მუშა-მნგრეველი, ორდენოსანი.
46. **გ. ნ. საჯაია**—ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ორდენოსანი.
47. **გ. ფ. სტურუა.**
48. **ა. ა. თვალჭრელიძე**—პროფესორი, ორდენოსანი.
49. **ა. ვ. ტოგონიძე** — საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტი—ქალი, თბილისი.
50. **ხ. ი. უსეინაშვილი**—სიღნაღის რაიონის სოფ. ულიანოვკის ტრაქტორისტი—ქალი.
51. **ა. მ. ხუცურაული**—დუშეთის რაიონის ჟინვალის სოფლის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
52. **ა. კ. ხუსკივაძე**—თბილისის საშუალო სკოლის მასწავლებელი— ქალი, ორდენოსანი.
53. **ი. პ. ხალიაპინი**—თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონთა სარემონტო ქარხნის მუშა, ორდენოსანი.
54. **მ. ი. ცინცაძე**—მახარაძის რაიონის სოფ. ნადაბის კოლმეურნეობის კოლმეურნე—ქალი, ორდენოსანი.
55. **მ. ი. ჭიაურელი**—საქართველოს სახ. კინომრეწველობის რეჟისორი, ორდენოსანი.
56. **კ. ი. ჰუმბურიძე**—თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის სტახანოველი მუშა—ქალი, ორდენოსანი. (საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად საქართველოს საბჭოების საგანგებო VIII ყრილობა

მეექვსე სხდომა, 12 თებერვალი

ყრილობის მეექვსე სხდომა 12 თებერვალს გაიხსნა ამხ. **ჯიჯოევის** თავმჯდომარეობით.

მესამე დღეა გრძელდება კამათი ამხ. **ფ. მახარაძის** მოხსენების გამო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შესახებ.

ეს კამათი მკვეთრი დემონსტრაცია სოციალიზმის გრანდიოზულ გამარჯვებათა, რომლებიც მოიპოვა საბჭოთა საქართველომ მთელ ჩვენ დიად სამშობლოსთან ერთად, იმ გამარჯვებათა, რომლებიც ჩაწერილია საქართველოს სს რესპუბლიკის ახალ კონსტიტუციაში. დელეგატების გამოსვლებში ასახულია საბჭოთა საქართველოს ქალაქებისა და რაიონების მთელი მრავალფეროვანი, სისხლსავსე ცხოვრება, ახალი ბედნიერება და სიხარული ქართველი ხალხისა, რომელიც უსაზღვროდ ერთგულია ბოლშევიკური პარტიისა, ხალხთა საყვარელი ბელადის, მასწავლებლის და მამის — დიდი **სტალინისა.**

ყრილობის სხდომაზე პირველი სიტყვა ეძლევა ტყიბულის რაიონის ქვანახშირის მაღაროთა მუშას, ამხ. **ი. ცეცხლაძეს.** იგი იხსენებს თავის მწარე, მძიმე ცხოვრებას წარსულში, ცარიზმისა და მენშევიკთა ბატონობის წლებში. მისი სიტყვა აღსავსეა სიმხნევით, ოპტიმიზმით, სიხარულით, როდესაც იგი ლაპარაკობს ტყიბულის მაღაროელთა ახლანდელ ბედნიერ ცხოვრებაზე, რომელნიც მიესალმებიან საქართველოს სს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტს.

შემდეგ ტრიბუნაზე ადის ჩხოროწყუს რაიონული აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ა. ჯიქია,** რომელმაც ყრილობას გააცნო თავისი რაიონის წარმატებანი. რაიონში წამყვანი კულტურაა ჩაი. თუ ჯერ კიდევ 1935 წელს ჩაის პლანტაციათა ფართობი 860 ჰექტარს შეადგენდა, უკვე ამ წელს იგი 1771 ჰექტარს უდრის. კოლმეურნენი, აღფრთოვანებულნი სტალინური კონსტიტუციით, იბრძვიან ჩაის პლანტაციათა მოსავლიანობის გადიდებისათვის.

ამხ. **ზ. ლორთქიფანიძე**—აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარე, თავის სიტყვაში მკვეთრად ასურათებს საბჭოთა აჭარის ძლევამოსილ გზას და განსაკუთრებით იმ წარმატებებს, რომლებიც მიღწეულია უკანასკნელ წლებში ამხანაგ **ლ. ბერიას** ხელმძღვანელობით.

— წელს,—ამბობს იგი,—აჭარის მშრომელებმა სიხარულით აღნიშნეს ისტორიული თარიღი — ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით რსდმპ ბათომის ლენინურ-ისკრული მიმართულების პირველი კომიტეტის შექმნის 35 წლისთავი. დიდმა **სტალინმა** მრავალი წლის წინათ პირველმა ჩააბა ბათომის მუშები, აჭარის მშრომელნი რევოლუციურ ბრძოლაში თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ და ახლა აჭარის ბედნიერი ხალხი რეალურად გრძნობს ამ ბრძოლის საუცხოო ნაყოფს.

ორატორის მიერ მოყვანილი ციფრები ნათლად გვიჩვენებენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის ზრდას ამ ოდესღაც ჩამორჩენილ, დაბეჩავებულ ქვეყანაში. აჭარის მრეწველობამ, შექმნილმა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში, 1936 წელს მოგვცა 175 მილიონი მანეთის პროდუქცია. აჭარა გახდა სუბტროპიკულ კულტურათა აყვავებულ ოლქად.

შემდეგი ორატორი—ამხ. **მდივნიშვილი** (ა.-კ. რკინიგზების მეორე განყოფილების პოლიტგანყოფილების მუშაკი) ლაპარაკობს იმ აღფრთოვანებასა და აღტყინებაზე, რომლითაც შეხვდა სტალინურ კონსტიტუციას ამიერკავკასიის რკინიგზელთა ორმოცდაათიათასიანი არმია.

საზიზღარი ტროცკისტები ძირგამომთხრელ, დივერსიულ მუშაობას ეწეოდნენ ტრანსპორტზე. ტროცკისტი ბანდიტი როზენცვეიგი, რომელიც ა.-კ. რკინიგზის უფროსად მუშაობდა, ყოველნაირად ცდილობდა ძირი გამოეთხარა ტრანსპორტის მუშაობისათვის. რკინიგზელნი ვალდებულებას კისრულობენ სტახანოვური მუშაობით უმოკლეს ვადაში ანაზღაურონ ის ზიანი, რომელიც მიაყენეს გზას გათახსირებულმა ტროცკისტმა ბანდიტებმა. რკინიგზელნი, სტალინური კონსტიტუციით აღფრთოვანებულნი, ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, აღწევენ შრომის მაღალი ნაყოფიერების ახალ რეკორდებს.

საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარმა ამხ. **ქუახელმა** ყრილობაზე ილაპარაკა კულტურის უმაგალითო ზრდაზე, იმაზე, თუ როგორ ახორციელებენ საქმით ორდენოსანი საბჭოთა საქართველოს მოქალაქენი თავისი განათლების უფლებას.

რესპუბლიკაში არის 4.191 სხვადასხვა სკოლა, რომლებშიც სწავლობს 700.000 მოსწავლე. გაიზარდა საბჭოთა მასწავლებლების ოცდაათათასიანი არმია. ქვეყანაში, სადაც საბჭოთა ხელისუფლებამდე სდევნიდნენ სწავლას დედაენაზე, სადაც არცერთი უმაღლესი სასწავლებელი არ იყო, ახლა 22 უმაღლეს სასწავლებელში დედაენაზე სწავლობენ ათეული ათასობით სტუდენტები. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში გამოიცა 15 ათასზე მეტი სახელწოდების სხვადასხვა წიგნი. ეს და მრავალი სხვა ციფრი და ფაქტები, რომლებიც ორატორს მოჰყავს, ნათლად გვიჩვენებენ ქართველი ხალხის ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის მძლავრ ზრდას.

მქუხარე ტაშით ხვდებიან ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს, არმიის მეორე რანგის სარდალს ამხ. ლევანდოვსკის, რომელმაც მკვეთრი, სურათოვანი სიტყვა წარმოსთქვა. მან ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილთა მებრძოლების, მეთაურებისა და პოლიტმუშაკების სახელით საბრძოლო წითელარმიული სალამი გადასცა ყრილობას.

ამხ. ლევანდოვსკის არაერთხელ აწყვეტინებენ სიტყვას ძლიერი ტაშით. იგი ლაპარაკობს მუშურ-გლეხური წითელი არმიის—საბჭოთა ხალხის სიამაყის—უძლეველ ძლიერებაზე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებისა და ქართული ნაწილების საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარმატებებზე. ხალხთა დიდი ბელადის, საყვარელი სტალინის მიერ გამოზრდილი მუშურ-გლეხური წითელი არმია, რომელსაც ხელმძღვანელობს მისი სახელოვანი თანამებრძოლი ამხანაგი ვოროშილოვი, აღსავსეა რევოლუციური ენტუზიაზმით, ყოველწუთს მზად არის გაანადგუროს მტერი, თუ იგი გაბედავს და ხელს აღმართავს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საზღვრების ხელუხლებლობის წინააღმდეგ.

დარბაზში იფეთქებს ხანგრძლივი ოვაცია, რომლითაც ყრილობის დელეგატები და სტუმრები გამოხატავენ სიყვარულს სახელოვანი წითელი არმიისადმი, გამოხატავენ საბჭოთა პატრიოტიზმის მხურვალე გრძნობით აღგზნებული მთელი ქართველი ხალხის მზადყოფნას — ყოველჟამს თავისი გულმკერდით დაიცვას ჩვენი სამშობლო. დარბაზის ყველა კუთხიდან გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ჩვენს სახელოვანს, უძლეველ მუშურ-გლეხურ წითელ არმიას!". „გაუმარჯოს წითელი არმიის საყვარელ ბელადს, სოციალიზმის ქვეყნის სახელოვან მარშალს — ამხანაგ **ვოროშილოვს!**" „გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**".

როდესაც დარბაზი სცხრება, ტრიბუნაზე ადის შემდეგი ორატორი — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ქუჩულორია.**

— საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი, — ამბობს იგი,— შეიცავს იმავე დიად პრინციპებს, რომლებიც ჩაწერილია ეპოქის უდიდეს დოკუმენტში — სსრ კავშირის კონსტიტუციაში. ამ კონსტიტუციის თვითეულ სტრიქონში ჩვენ ვხედავთ და ვგრძნობთ სტალინის დიდ გენიას, სტალინურ სიბრძნეს, სტალინურ ზრუნვას ადამიანზე—სოციალიზმის მშენებელზე.

ორატორი გვიხატავს იმის შესანიშნავ სურათს, თუ რა გამარჯვებებს მიაღწია საბჭოთა აფხაზეთმა მთელი ქართველი ხალხის დახმარებით, საქართველოს კ.პ. (ბ) და ამხანაგ **ლ. ბერიას** ხელმძღვანელობით. საბჭოთა აფხაზეთი — ეს უმკვეთრესი მაგალითია იმისა, თუ მთელმა ხალხებმა, რომელნიც რევოლუციამდე კოლონიური ჩაგვრისა და ძარცვის ობიექტებს წარმოადგენდნენ, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების შედეგად როგორ იწყეს აყვავება, ბედნიერი ცხოვრება, როგორ შექმნეს თავისი საბჭოთა სახელმწიფოებრიობა, თავისი ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურა.

ყრილობის დელეგატები მხურვალედ ხვდებიან საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **გ. მგალობლიშვილს.**

თავის საუცხოო მკვეთრ სიტყვაში ამხ. მგალობლიშვილმა დაასურათა დიადი გამარჯვებანი, რომელნიც მოიპოვა საბჭოთა კავშირმა და მისმა მეთერთმეტეთაგანმა თანასწორუფლებიანმა რესპუბლიკამ — საბჭოთა საქართველომ. ამხ. მგალობლიშვილს მრავალჯერ შეაწყვეტინეს სიტყვა მქუხარე ტაშით, ოვაციებით, როცა იგი ლაპარაკობდა ლენინის საქმის გენიალურ განმგრძობზე — დიდ **სტალინზე,** რომელმაც პარტიის ყველა მტერთან გააფთრებულ ბრძოლაში გამოსჭედა ბედნიერი ცხოვრება საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხისათვის. ქართველი ხალხი ბედნიერია იმით, რომ იგი გარემოსილია მშრომელთა ბელადის, მამისა და მასწავლებლის — ამხანაგ სტალინის ყოველდღიური ყურადღებით, მამობრივი მზრუნველობითა და დახმარებით.

კვლავ გაისმის მქუხარე ტაში, როცა ამხ. მგალობლიშვილი ლაპარაკობს იმაზე, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტში ჩაწერილი გამარჯვებანი მოპოვებულია ქართველი ხალხის მიერ დიადი რუსი ხალხის ძმური დახმარებით, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა ძმური მეგობრობით, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად განხორციელების საფუძველზე.

საბჭოთა საქართველო ჩადგა ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს მოწინავე რესპუბლიკების რიგებში საქართველოსი და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების საყვარელი ხელმძღვანელის, დიდი სტალინის მითითებათა განუხრელად გამტარებლის — ამხანაგ **ლ. ბერიას** ხელმძღვანელობით.

თავის გამოსვლას ამხ. მგალობლიშვილი ამთავრებს სიტყვებით დიადი ბოლშევიკური პარტიის ძლიერებაზე, მთელი საბჭოთა ხალხის უსაზღვრო ერთგულებაზე დიდი სტალინისადმი, რომელსაც ჩვენი ქვეყანა გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიჰყავს. მქუხარე ოვაცია კვლავ აზანზარებს დარბაზის კედლებს. ყოველი მხრიდან გაისმის მისალმებანი ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** მიმართ, ბოლშევიკური პარტიის მიმართ.

შემდეგ ყრილობას მიესალმა მევენახეობის, მეთამბაქოობის, მეცხოველეობისა და მებაღეობის კოლმეურნეობათა დელეგაცია. მისალმებით დელეგაციისაგან გამოვიდა ამხ. **ბალაშვილი.**

ყრილობა დიდი აღფრთოვანებით შეეგება საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. **ვ. ბაქრაძეს.** მისი ვრცელი შინაარსიანი სიტყვა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს და არაერთგზის შეაწყვეტინეს მქუხარე ტაშით.

ამხ. ბაქრაძე ამბობს, რომ სრულიად-საქართველოს საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობა ქართველი ხალხის გმირულ ისტორიაში აღინიშნება, როგორც მისი ერთერთი უბრწყინვალესი ფურცელი. ეს ყრილობა განიხილავს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტს. პროექტი შედგენილია ისე, რომ სავსებით შეესაბამება სოციალიზმის ქვეყნის დიად კონსტიტუციას, რომლის შემოქმედია პარტიისა და ხალხთა საყვარელი ბელადი — დიდი **სტალინი.**

ამხ. ბაქრაძე ლაპარაკობს ამხ. ლ. ბერიას საბრძოლო ხელმძღვანელობაზე, რომელმაც ქართველი ხალხი მიიყვანა შესანიშნავ გამარჯვებამდე, ამიერ-კავკასიის და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა დიად სტალინურ მეგობრობაზე, და მთელი დარბაზის ტაშის გრიალში ძმურ ბოლშევიკურ სალამს უთვლის აზერბეიჯანისა და სომხეთის მშრომელებს.

ამხ. ბაქრაძე მოუწოდებს კიდევ უფრო მეტად გააძლიერონ რევოლუციური სიფხიზლე და შეურიგებლობა სოციალიზმის ყველა მტრის მიმართ. თავის გამოსვლას იგი ამთავრებს სიტყვებით იმაზე, რომ ქართველი ხალხი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მზად არის, როგორც ერთი კაცი, მკერდით დაიცვას თავისი მშვენიერი სოციალისტური სამშობლო და გაანადგუროს მტერი. ეს სიტყვები მთელი დარბაზის ახალ მძლავრ ოვაციას იწვევენ. დიდხანს არ სწყდება ძახილი „ურა!". „ვაშა!". მისალმების შეძახილები. „გაუმარჯოს ხალხთა მშობლიურ, საყვარელ ბელადს—დიდ სტალინს!", „გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას", „გაუმარჯოს ქართველი ხალხის მებრძოლ ხელმძღვანელს ამხ. ლ. ბერიას!".

○

თავმჯდომარე ამხ. ჯიჯოევი აცნობებს ყრილობას, რომ ამხ. **ფ. მახარაძის** მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 50 კაცმა. პრეზიდიუმში შემოსულია წინადადება შეწყდეს კამათი. ვინაიდან საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი ერთსულოვნად მოიწონა ყველა დელეგატმა, ვინც კი ყრილობის ტრიბუნაზე გამოვიდა, ამხ. **ფ. მახარაძე** საბოლოო სიტყვაზე უარს ამბობს.

ყრილობა ერთხმად ადგენს შეწყდეს კამათი.

წინადადებისათვის სიტყვა ეძლევა საქართველოს კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანს ამხ. **ვ. გოგუშვილს.**

გოგუშვილი: ამხანაგებო! თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ-ოსეთის, ქუთაისისა და ჭიათურის დელეგაციების სახელით შემომაქვს წინადადება მიღებულ იქნას შემდეგი დადგენილება სრულიად-საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საკონსტიტუციო კომისიის მოხსენების გამო:

„მოისმინა და განიხილა რა სრულიად-საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ფ. ე. მახარაძის მოხსენება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შესახებ, სრულიად-საქართველოს საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობა ადგენს:

1. საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი, წარმოდგენილი სრულიად-საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საკონსტიტუციო კომისიის მიერ, მოწონებულ და მიღებულ იქნას საფუძვლად.

(მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის და დიდხანს არ სწყდება. შეძახილები ადგილებიდან, „ვაშა" ძახილი. ორკესტრი ასრულებს „ინტერნაციონალს").

2. შემოტანილი შესწორებანი და დამატებანი განსახილველად და საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის საბოლოო ტექსტის დასადგენად შეიქმნას სარედაქციო კომისია 56 კაცის შემადგენლობით.

3. დაევალოს სარედაქციო კომი- [illegible]

სს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტს.

შემდეგ ამხ. გოგუშვილს იმავე დელეგაციების სახელით შეაქვს წინადადება საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის საბოლოო ტექსტის დასადგენად გამოყოფილ სარედაქციო კომისიის შემადგენლობის შესახებ. ამხ. გოგუშვილი კითხულობს კომისიის წევრთა წარმოდგენილ სიას.

სარედაქციო კომისიის წევრთა სიას ერთხმად ამტკიცებენ.

მიღებულია წინადადება სარედაქციო კომისიის მუშაობის დროს შეუწყდეს ყრილობის მუშაობა 13 თებერვლის საღამომდე. თავმჯდომარე აცხადებს, რომ ყრილობის შემდეგომი სხდომა შესდგება 13 თებერვალს საღამოს 7 საათზე. იმავე დღეს ნაშუადღევს 1 საათზე შესდგება სარედაქციო კომისიის სხდომა.

ამით იხურება საღამოს 5 საათზე ყრილობის მეექვსე სხდომა.

13 თებერვლის საბოლოო სხდომა

განსაკუთრებული აღფრთოვანებით დაიწყო 13 თებერვლის საღამოს სრულიად-საქართველოს საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობის საბოლოო სხდომა. რამდენიმე საათის შემდეგ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია გახდება ქართველი ხალხის ცხოვრების ურყევ კანონად. სიხარულით ბრწყინავს სახეები დელეგატებს, რომელნიც გამსჭვალულნი არიან ამ მომენტის სიდიადის შეგნებით. ისინი თავის გრძნობებს გამოხატავენ მქუხარე ტაშით, ხანგრძლივი ოვაციით იმის მიმართ, ვინც ბედნიერი სასიხარულო ცხოვრება შეუქმნა საბჭოთა ქვეყნის ხალხებს, ვინც დიადი კონსტიტუცია მისცა საბჭოთა ხალხს, — მშრომელთა მშობლიური, საყვარელი ბელადის, მასწავლებლისა და მამის — დიდი **სტალინის** მიმართ.

რამდენიმე წუთი გადის, სანამ ოვაცია შესწყდებოდეს და თავმჯდომარე მიიღებდეს შესაძლებლობას გახსნილად გამოაცხადოს სხდომა.

პრეზიდიუმის მაგიდასთან არიან ამხანაგები **ლ. ბერია, ფ. მახარაძე, გ. მგალობლიშვილი, ვ. ბაქრაძე, გ. მუსაბეკოვი, ლევანდოვსკი, ზ. ლორთქიფანიძე, გ. არუთინოვი, ა. გეურქოვი, მ. გობეჩია, ხ. გოგლიძე, იარცევი, ჯიჯოევი, თ. ჟღენტი, ნინოაძე, ბოლქვაძე, გ. ჩხეიძე, ქიაურელი** და სხვ.

თავმჯდომარე ამხ. გ. მგალობლიშვილი ყრილობის მიერ საქართველოს სსრ რესპუბლიკის კონსტიტუციის საბოლოო ტექსტის პროექტის დასადგენად არჩეული სარედაქციო კომისიის მუშაობის შედეგების შესახებ მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს სარედაქციო კომისიის თავმჯდომარეს ამხ. ფ. მახარაძეს.

ამხ. ფ. მახარაძე, რომელსაც ტაშით ხვდებიან, დაწვრილებით მოახსენებს ყრილობას სარედაქციო კომისიის მუშაობაზე, ყრილობის მიერ განხილულ საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტში შეტანილ შესწორებებსა და დამატებებზე.

ყრილობა გადადის საქართველოს სს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის მუხლობრივად წაკითხვასა და კენჭისყრაზე. ამხ. მგალობლიშვილი კითხულობს და კენჭს უყრის ერთიმეორეზე კონსტიტუციის მუხლებს. დელეგატები მაღლა სწევენ წითელ მანდატებს და ერთხმად ღებულობენ კონსტიტუციის ყოველ მუხლს.

საზეიმო საქმის სიჩუმეს, რომელშიც ტარდება კენჭისყრა, არღვევს ტაშის გრიალი, ხანგრძლივი ოვაცია, როცა კითხულობენ 139 მუხლს, სადაც ლაპარაკია საკავშირო კომუნისტურ პარტიაზე (ბოლშევიკების) რომელიც წარმოადგენს მშრომელთა მოწინავე რაზმს მათ ბრძოლაში სოციალისტური წყობილების განმტკიცებისა და განვითარებისათვის და მშრომელთა ყველა როგორც საზოგადოებრივი, ისე სახელმწიფო, ორგანიზაციების ხელმძღვანელ ბირთვს.

დიდი დარბაზის ყველა კუთხიდან მოისმის შეძახილები, რომელთაც ყველა დელეგატი და მრავალრიცხოვანი სტუმრები აიტაცებენ: „გაუმარჯოს ბოლშევიკების საკავშირო კომუნისტურ პარტიას!" „გაუმარჯოს ბოლშევიკური პარტიის დიდ ბელადს საყვარელ **სტალინს!**"

მთელი ქართველი ხალხი თავისი საუკეთესო ადამიანების — ყრილობის დელეგატების სახით გამოხატავს თავის უსაზღვრო ერთგულებასა და სიყვარულს სახელოვანი ბოლშევიკური პარტიისადმი, პარტიის საყვარელი ბელადისადმი — დიდი **სტალინისადმი.**

ტაში სწყდება, რათა რამდენიმე წუთის შემდეგ ახალი ძალით განახლდეს, როცა კითხულობენ 145 და 146 მუხლებს, სადაც ლაპარაკია სა- [illegible]

კენჭს უყრის კონსტიტუციის მთელ ტექსტს. ყრილობა ერთხმად ადგენს დაამტკიცოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) პროექტი იმ რედაქციით, რომელიც ყრილობის სარედაქციო კომისიამ წარმოადგინა.

დარბაზში კვლავ აღფრთოვანებული ოვაციაა. დელეგატები ფეხზე დგებიან და აღტაცებით მიესალმებიან ორდენოსანი საქართველოს მშრომელთა ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრების კანონის ძალაში შესვლას. ამიერიდან საქართველოს სს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია — დიადი სტალინური კონსტიტუციის პირმშო — საბჭოთა საქართველოს ცხოვრების ურყევი კანონია!

ამხ. მგალობლიშვილი აქვეყნებს წინადადებას: დაევალოს სრულიად-საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს საქართველოს სს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის საფუძველზე დაამუშაოს და დაამტკიცოს დებულება არჩევნების შესახებ, აგრეთვე, დააწესოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების ვადები. წინადადება მიღებულ იქნა ერთხმად.

შემდეგ სიტყვა ინფორმაციისათვის ამიერკავკასიის ფედერაციის შესახებ ეძლევა ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. გ. მუსაბეკოვს. იგი ლაპარაკობს ბრძოლისა და გამარჯვებათა უდიდესი გზის შესახებ, რომელიც განვლო გმირმა ქართველმა ხალხმა საბჭოთა ხელისუფლების წლების განმავლობაში აზერბეიჯანისა და სომხეთის და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ძმური მეგობრობით. ეს გამარჯვებანი მიღწეულია ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარების საფუძველზე, პოლიტიკის, რომლის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს მრავალეროვანი ამიერკავკასიის პირობებში წარმოადგენდა ამიერკავკასიის ფედერაცია — ლენინისა და სტალინის პირმშო.

ამიერკავკასიის ფედერაცია თავისი ისტორიის მთელ მანძილზე გარემოსილი იყო დიდი სტალინის მამობრივი მზრუნველობით, დახმარებითა და ყურადღებით. ამიერკავკასიის ფედერაციამ უზრუნველყო სოციალიზმის გრანდიოზული გამარჯვებანი საქართველოსა, აზერბეიჯანსა და სომხეთში, ამიერკავკასიის ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობა. ამიერკავკასიის ფედერაციამ მთლიანად შეასრულა თავისი დიადი ისტორიული როლი, გადასჭრა მის წინაშე დასახული ამოცანები, უზრუნველყო საქართველოს, სომხეთისა და აზერბეიჯანის უშუალოდ შესვლა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში, რასაც სტალინური კონსტიტუცია ითვალისწინებს.

ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ საბჭოთა საქართველო იწყებს თავის არსებობას, როგორც მოკავშირე რესპუბლიკა. მაშასადამე სავსებით ბუნებრივია თუ სრულიად-საქართველოს საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობა თავის გადაწყვეტილებებში აღიარებს, რომ ამიერკავკასიის ფედერაცია, რომელმაც შეასრულა თავისი ისტორიული მისია და მთლიანად გადასჭრა მის წინაშე დასახული ამოცანები, ლიკვიდირებულ უნდა იქნას. ჩვენი ამოცანაა მომავალშიაც კიდევ უფრო განვამტკიცოთ ამიერკავკასიის და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობა, — ამბობს ამხ. მუსაბეკოვი დელეგატთა ტაშის გრიალში.

ამხ. მგალობლიშვილი სიტყვას აძლევს თბილისის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნინოაძის, რომელიც [illegible]

ჭოთა რესპუბლიკის და მისი ხელმძღვანელი ორგანოების ლიკვიდაცია, რომლებმაც შეასრულეს თავიანთი ისტორიული დანიშნულება.

ყრილობის მუშაობის დღეები სასიხარულო, ბედნიერი დღეები იყო დელეგატთა ცხოვრებაში, რომლებსაც ქართველმა ხალხმა თავისი ახალი კონსტიტუციის დამტკიცება მიანდო.

დიადი და დაუვიწყარი იყო ის წუთები, როდესაც ყრილობა ხალხთა ბელადის — დიდი **სტალინის** სახელზე ღებულობდა მისასალმებელ დეპეშას, რომელიც ამხ. ა. მგელაძემ გამოაქვეყნა.

ყველა დელეგატი ერთიანი მძლავრი აღფრთოვანებით ფეხზე დგება და ხანგრძლივი ოვაციით ხვდება მისალმებისა და უსაზღვრო მადლობის სიტყვებს იმის მიმართ, ვინც უზრუნველჰყო საბჭოთა ქვეყნის ბრძნული ხელმძღვანელობა და მიიყვანა იგი დღევანდელი დღის სიხარულამდე, ვისი ხელმძღვანელობითაც გადალახულია უდიდესი სიძნელეები და მიღწეულია სოციალიზმის ისტორიული გამარჯვებანი — სსრ კავშირის ხალხთა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის, მშობლიური მამისა და მასწავლებლის — საყვარელი **სტალინის** მიმართ.

დიდხანს არ სცხრება „ვაშას", „ურას" ყიჟინა, შეძახილები „გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**" „სალამი მშობლიურ საყვარელ **სტალინს!**" მისასალმებელი შეძახილები უერთდება „ინტერნაციონალის" ხმას.

დარბაზის სიღრმიდან საქართველოს ხალხთა ყველა ენაზე გაისმის მისალმებანი მშობლიური **სტალინის** პატივსაცემად. ამ მისალმებებში, ამ ოვაციაში, დელეგატთა ბედნიერ სახეებზე აშკარად გამოხატულია ის, რაც ყველაზე ძვირფასი, ყველაზე წმინდაა საბჭოთა ქვეყნის მოქალაქისათვის — უსაზღვრო სიყვარული ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი **სტალინისადმი,** რომელსაც მთელი საბჭოთა ხალხი კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ მიჰყავს.

დიდხანს გრძელდება აღფრთოვანებული ოვაცია. იგი მხოლოდ ერთი წუთით სწყდება, რათა კვლავ იფეთქოს, როდესაც ყრილობა ღებულობს მისასალმებელ დეპეშას სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. **მ. ი. კალინინის** და საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხ. **ვ. მ. მოლოტოვის** სახელზე. დარბაზის თაღებს აზანზარებს მისასალმებელი შეძახილები სტალინური ქვეყნის მძლავრი მთავრობის პატივსაცემად.

შემდეგ ყრილობამ აზერბეიჯანისა და სომხეთის მოძმე რესპუბლიკების ხალხთა სახელზე მიიღო მისასალმებელი დეპეშები, რომლებიც ამხ. გეურქოვმა წაიკითხა. დარბაზს კვლავ აზანზარებს პროლეტარული ჰიმნი და მისალმებათა შეძახილები ქართულ, თურქულ, სომხურ, რუსულ ენებზე: „სალამი საბჭოთა აზერბეიჯანის მოძმე ხალხს!", „სალამი საბჭოთა სომხეთის მოძმე ხალხს!", „გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა მებრძოლ ხელმძღვანელს ამხ. **ლავრენტი ბერიას!**".

ყრილობამ დაამთავრა მუშაობა. დახურულად აცხადებს რა ყრილობას, ამხ. მგალობლიშვილი შესძახებს:

— გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს, სტალინური კონსტიტუციის გენიალურ შემოქმედს — დიდ **სტალინს!**

მისასალმებელი შეძახილებისაგან ახალი ძალით ზანზარებენ რუსთაველის სახელობის თეატრის თაღები. „გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**" — ეს შეძახილები საქართველოს ხალხთა სხვადასხვა ენაზე აიტაცა ყველა დამსწრემ.

ფეხზე ამდგარი დელეგატები და სტუმრები დიდი აღფრთოვანებით მღერიან „ინტერნაციონალს". შემდეგ კვლავ განახლდა მისალმებათა ქარიშხალი ჩვენი საყვარელი სოციალისტური სამშობლოს პატივსაცემად, სტალინური კონსტიტუციის პატივსაცემად, საყვარელი **სტალინის** პატივსაცემად.

საქართველოს სს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია — დიადი სტალინური კონსტიტუციის ძვირფასი პირმშო — დამტკიცებულია. სრულიად-საქართველოს საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობასთან ერთად საქართველოს სს რესპუბლიკის ახალ კონსტიტუციას მთელი ქართველი ხალხი ამტკიცებდა.

როდესაც ყრილობის მუშაობა დასასრულს უახლოვდებოდა, რუსთაველის სახელობის თეატრთან მოვიდნენ თბილისის მშრომელები, რათა მიესალმონ ქართველი ხალხისათვის ისტორიულ ყრილობას, რათა მასთან ერთად გამოსთქვან თავიანთი სიხარული, თავიანთი ბედნიერება, რომლებსაც ახალი კონსტიტუცია [illegible].

და ყრილობის დელეგატები გამოდიან თეატრიდან ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა დემონსტრაციის კოლონებთან.

საქართველოს სს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია ძალაში შევიდა...

◆

მშრომელთა სიხარულის მძლავრი დემონსტრაცია

გუშინ თბილისში

გუშინ, 13 თებერვალს დილიდანვე ქალაქს საზეიმო ელფერი დაედო. ნაადრევი გაზაფხულის დღეს ჰგავდა გუშინდელი დღე თბილისში. შესანიშნავად, საუცხოო მხატვრული გემოვნებით მორთული რუსთაველის თეატრის შენობა, შოთას პროსპექტის მშვენება, თბილისის მშრომელთა თვალსა და გულს იზიდავდა. დაბინდდა. ქუჩები გაანათეს ელექტრო-შუქურებმა და მშრომელებმაც იწყეს ქუჩაში გამოსვლა.

მშრომელები გროვდებოდნენ ცალკე რაიონების მიხედვით, რომ შემდეგ მრავალათასიანი კოლონები ერთად შეგროვილიყვნენ და ნიაღვარივით მოსდებოდნენ განიერ პროსპექტს. ყრილობა კი ამ დროს კონსტიტუციას მუხლობრივ ამტკიცებდა. აჰა, დამთავრდა კონსტიტუციის მუხლობრივი წაკითხვა და კენჭისყრა. ახლა მთლიანად უყარეს კენჭი კონსტიტუციის პროექტს, შესწორებულსა და დადგენილს. ყრილობა ერთხმად ამტკიცებს კონსტიტუციის პროექტს.

რადიო-რუპორებს მთელ დედაქალაქში გააქვთ ყრილობის დარბაზის ამბავი.

კოლონები რუსთაველის პროსპექტისაკენ დაიძრნენ. ზღვა ხალხმა აავსო განიერი და ულამაზესი ქუჩა თბილისისა. რუსთაველის თეატრთან კინო-ქრონიკიორებს „იუპიტერები" დაუდგამთ და მომარჯვებული კინა- [illegible]

პროსპექტის სიღრმეში გამოჩნდნენ დემონსტრანტთა პირველი კოლონები. უხვად გაშუქებულ პროსპექტზე მოაქვთ ჩირაღდნები, დროშები, ბელადისა და მისი უახლოესი თანამებრძოლთა სურათები, ტრანსპარანტები, მისასალმებელი ლოზუნგები, ყვავილები.

თეატრის შენობას მოუახლოვდა წინა კოლონა. გრიალებენ ორკესტრები, ისმის აღფრთოვანებული მისასალმებელი წამოძახილები და ტაშის ხმა. ბედნიერი და მოზეიმე მშრომელები ესალმებიან პარტიისა და ხელისუფლების ხელმძღვანელებს, ყრილობის მონაწილეებს, საქართველოს მშრომელთა უფლებამოსილ წარმომადგენლებს.

— „გაუმარჯოს დიდ სტალინს, ჩვენი კონსტიტუციის შემომქმედსა და ჩვენს მასწავლებელს", — გაისმის ვერანდიდან.

„ვაშას" ძახილი ჰფარავს ორკესტრების გუგუნს, ტაშის ქუხილი გადადის ქუჩიდან ქუჩაზე.

— გაუმარჯოს საქართველოს ბოლშევიკების საამაყო ხელმძღვანელს, ქართველი ხალხის მეთაურს ამხანაგ ლავრენტი ბერიას!

— გაუმარჯოს დიადი საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ურყევ კავშირს!

წამოძახილები ვერანდიდან და საპასუხო წამოძახილები დემონსტრანტთა რიგებიდან ერთმანეთში ირევა.

კოლონები კოლონებს მიჰყვებიან. დროშათა სიმრავლე, ყვავილთა სი- [illegible]



საბჭოთა საქართველოს ინტელიგენციის დელეგაცია, რომელიც ყრილობას მიესალმა.

ფოტო სტალინაშვილისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალციხის ქვანახშირი

ახალციხელ მჭედლებს სიხარულის დღე დაუდგათ. ნახშირს მშვენივრად ეკიდება, ქურა გიზგიზებს, რკინაც ვარვარდება. მუშაობას ბარაქა აქვს.

— სად ვიყავით აქამდე! — გაიძახიან მჭედლები და მდინარე ქობლიანჩაის ნაპირებზე ქვანახშირს აგროვებენ, ყრიან კალათებში და ეზიდებიან სამჭედლოებისაკენ. ეს იყო ძველად, როცა ქვანახშირის საბადოს კლდე მოინგრა და ქობლიანჩაიში ჩახვავდა. წყალმა ის შორს წაიღო და ქვეყანას ამცნო ახალციხეში ქვანახშირის არსებობა. გავიდა წლები და აი 1851 წელს ახალციხეში ჩამოვიდა გეოლოგი გ. საბალსკი, შეისწავლა ქვანახშირის საბადოები და წერილები მოათავსა მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში. საბალსკის ჩამოსვლამდე სწარმოებდა თურმე ქვანახშირის ამოღება, რასაკვირველია კუსტარულად, ვინც როგორ მოახერხებდა. იმ წელს მჭედლებს და ადგილობრივ გლეხებს 2 ათასი ფუთი ქვანახშირი ამოუღიათ.

შორს გაუვარდა ახალციხის ქვანახშირს სახელი. მრავალ მრეწველს ეჭირა აქეთკენ თვალი, მაგრამ ვერ ბედავდნენ ექსპლოატაციის დაწყებას. მეფის მთავრობას და შემდეგ უდღეურ მენშევიკებს ახალციხის ქვანახშირისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ. მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო ახალციხის ნახშირის ადგილმდებარეობის შესწავლა.

აი 1931 წელს საქართველოს გეოლოგიურმა ტრესტმა ახალციხეში მიავლინა ამხ. ბ. გუჯეჯიანი, რომლის გამოკვლევის შედეგად აქაური ქვანახშირი ცნობილ იქნა ვარგისად და ამის შემდეგ გახდა იგი ყურადღების ღირსი. ერთხელ დაწყებული მუშაობა კიდევ უფრო გადიდდა, გაღრმავდა და ფრთები შეისხა.

ახალციხის ქვანახშირს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამიერ-კავკასიის სათბობი ნედლეულით უზრუნველყოფისათვის. ქიმიური და ტექნოლოგიური ცდებით უკვე დადასტურებულია, რომ ახალციხის ქვანახშირი ძირითადად ვარგისია როგორც სათბობი ნედლეული. მას შეუძლია შესცვალოს ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირი, რომელსაც დღემდე უმთავრესად საწვავად ხმარობენ. ეს მაშინ, როცა ისინი წარმოადგენენ მაღალხარისხოვან ნედლეულს ქიმიური და საკოქსე წარმოებისათვის. ახალციხის ქვანახშირის გეოლოგიური მარაგი 90-100 მილიონ ტონამდე განისაზღვრება. ტყიბულსა და ტყვარჩელთან შედარებით ახალციხის ქვანახშირი ხარისხით დაბალია. მისი ნაცრიანობა ცვალებადია, 18-დან 30 პროცენტს აღწევს. თბოუნარიანობა 5 ათასი კალორიაა. ყველა ეს თვისება სრულიად დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს იმისათვის, რომ ახალციხის ქვანახშირი გამოყენებული იქნას.

1931 წელს დაწყებული გეოლოგიური გამოკვლევები დღესაც არ არის დამთავრებული. არ არის ზუსტად დადგენილი საწარმოო მარაგი, რადგან ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმისათვის ფინანსიური დაბანდებანი გასულ წლებში არ იყო საკმარისი. ამიტომ ახალციხის ქვანახშირის მრეწველობის გასაძლიერებლად საქართველოს სახკომსაბჭომ 1935 წლის 25 ოქტომბრის დადგენილებით დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი. ამ დადგენილებით საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს უნდა გაეწია ისეთი მუშაობა, რომ გასულ წელს შესაძლებელი ყოფილიყო 9 ათასი ტონა ქვანახშირის ამოღება. ამავე დროს უნდა დაემთავრებინათ 280-ცხენისძალიანი თბოსადგურის მშენებლობა. მაგრამ როგორც ვხედავთ, არც ერთი და არც მეორე დღემდე არ არის გაკეთებული. შარშან ნაცვლად 9 ათასი ტონისა ამოღებულ იქნა მხოლოდ 1.700 ტონა. მაღარო მოუწყობელია, არ არის მისასვლელი გზები და ვაგონეტების ლიანდაგები, რაც დიდად აფერხებს მონგრეული ქვანახშირის გამოტანას. გარდა ამისა, მაღაროდან ქალაქამდე ქვანახშირის გამოსაზიდავად არა აქვთ ავტომანქანები, მაღარო მოუწყობილია ნორმალური ექსპლოატაციისათვის. არ ხდება სისტემატურად ჰაერის გაწმენდა, აკლია განათება. რაც მთავარია, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობებს არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. ეს ყველაფერი საგრძნობ გავლენას ახდენს პროდუქციის როგორც ხარისხობრივ, ისე რიცხვობრივ მაჩვენებლებზე.

მაღაროს კარგი წყალსადენი აქვს. აგებულია მუშათა საცხოვრებელი სახლი № 12, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. მუშათა სახლების მშენებლობას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

მაღარო ელექტროენერგიით უნდა უზრუნველჰყოს თბოსადგურმა, რომლის მშენებლობა 1934 წელს დაიწყო და დღესაც არ არის დამთავრებული. ამ თბოსადგურს გარდა მაღაროსი, უდიდესი მნიშვნელობა აქვს თვით ქალაქ ახალციხის და მახლობელი რაიონებისათვის. თბოსადგურის ამუშავების შემდეგ შესაძლებელი იქნება აგარაკებისა და სოფლების ელექტროენერგიით უზრუნველყოფა.

ახალციხის ქვანახშირის მაღაროს არადამაკმაყოფილებელი მუშაობა გამოწვეულია საქ. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის უყურადღებობით. ქვანახშირის საბადოების გეოლოგიური შესწავლა 6 წელიწადს გაჭიანურდა. ეს მაშინ, როცა მის დამთავრებას ერთი წელიც არ უნდოდა, მაგრამ ამ ფრიად მნიშვნელოვანი საქმისათვის ადგ. მრეწველობის სახალხო კომისარიატმა საჭირო თანხა ვერ გამონახა.

ახალციხის ქვანახშირს დიდი მომავალი აქვს. მაღარო მიმდინარე წელს უნდა მოეწყოს ნორმალური ექსპლოატაციისათვის. ამიტომ მთელი მუშაობა აქედანვე უნდა გაიშალოს.

შ — ძე.

ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სტახანოველები ზინა ხურცილავა, ოლია ღლონტი და ეფროსია ჩუმაჩენკო გახსნის პირველ დღეს ათვალიერებენ გამოფენას „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის".

ფოტო რ. აკოფოვისა

გაიზარდა მონდომება და პასუხისმგებლობა

უკანასკნელ დრომდე ჩვენს სოფელ გვიდაქის (დუშეთის რაიონი) სტალინის სახ. კოლმეურნეობას ბევრი ნაკლი ახასიათებდა. არ გვქონდა შემოღებული სანარდო სისტემა. კოლმეურნეებს იმის მიხედვით ვუწერდით შრომადღეებს, თუ ვინ რამდენ დღეს იმუშავებდა. მხედველობაში არ ვიღებდით არც ნამუშევრის რაოდენობას და არც მის ხარისხს. ამის გამო ხშირად იცვლებოდნენ მწყემსები, მათში დაინტერესება ნაკლები იყო, და გეგმასაც ვერ ვასრულებდით.

1936 წელს 575 სადოლებელი ცხვარი გვყავდა და აქედან 381 ბატკანი ძლივს შევინარჩუნეთ. 66 ცხვარი დაუგრილებელი დარჩა, გაბერწდა და მთელ წელიწადს მოცდა. 39 ხბოდან 5 მოგვიკვდა.

ჩვენ ვხედავდით ყოველივე ამას, მაგრამ, როცა საქმე დასჯასა და პასუხისგებინებაზე მიდგებოდა, უშუალო დამნაშავეს ვერ ვპოულობდით, ფერმის გამგე ბრიგადირს სდებდა ბრალს, ბრიგადირი მწყემსს, ეს უკანასკნელი კიდევ მწველავს, ბატკნებისა და ხბოების მომვლელს..

როცა ამხ. ლ. ბერიას მოხსენებას გავეცანით, ჩვენი კოლმეურნეობის მუშაობის ნაკლოვანებები უფრო თვალსაჩინო გახდა.

რაიონული ორგანიზაციებისა და სასოფლო საბჭოს დახმარებით დაუყოვნებლივ შევუდექით ხარჯთაღრიცხვის გადათვალიერებას და დაზუსტებას. შევამცირეთ ზედმეტი ხარჯები, გავადიდეთ შრომადღის ანაზღაურება. პირველი ხარჯთაღრიცხვით, რომელიც ფორმალურად იყო შედგენილი, ფულადი შემოსავლიდან შრომადღეებზე მხოლოდ 2.650 მანეთი უნდა განაწილებულიყო. ახლა კი 6.300 მანეთს ვანაწილებთ.

შემოვიღეთ სანარდო სისტემა, შევადგინეთ გამომუშავების ნორმები ყველა სახის სამუშაოზე, რამაც საგრძნობლად გაადიდა შრომის ნაყოფიერება. მაგალითად, 1935 წელს კოლმეურნეობაში სულ 7.500 შრომადღე დაიხარჯა, 1936 წელს კი, მიუხედავად იმისა, რომ პირუტყვის სულადობა წინა წელთან შედარებით 38 პროცენტით გაიზარდა. დახარჯული შრომადღეების საერთო რაოდენობა 5.500-ს არ აღემატება.

გაიზარდა დაინტერესება და პასუხისმგებლობა. თედო ბუჩუკური, რომელიც საუკეთესოდ მუშაობს, უფროს მწყემსად დავაწინაურეთ. მწყემსებად და პირუტყვის მომვლელებად შევარჩიეთ მოწინავე კოლმეურნენი, რომლებიც ხალისიანად მუშაობენ. 400 სული სადოლებელი ცხვარი, რომელიც რამდენიმე თვის წინად მთავრობისაგან მივიღეთ ბორჩალოს საძოვრებზე გვყავს, 1.059 ცხვარი ყიზლარის საზამთრო საძოვრებზეა, მსხვილფეხა პირუტყვი კი შირაქში გავრეკეთ. შეკეთებულია პირუტყვის სადგომი ბინები. საკმაო რაოდენობით მომარაგებული გვაქვს თივა.

1935 წელს ბევრ კოლმეურნეს პირად საკუთრებაში არ ჰყავდა ცხვარი. ახლა კი თვითეულ საკოლმეურნეო კომლზე მოდის საშუალოდ 16 ცხვარი და 2 ძროხა.

ჩვენი კოლმეურნეობის წევრები, რომლებიც პატიოსნად მუშაობენ, უკვე დაადგნენ შეძლებული ცხოვრების გზას. კოლმეურნე ბიჭ. ბუჩუკურმა 1936 წელს 543 შრომადღე გამოიმუშავა და მიიღო კოლმეურნეობიდან 255 კილოგრამი ყველი, 65 კილოგრამი ერბო, 52,6 კილოგრამი მატყლი და ფულად 654 მან. 45 კაპ. ბ. ბუჩუკურს პირად სარგებლობაში ჰყავს 40 ცხვარი, 5 ძროხა, 20 ძირი სკა და ერთი ცხენი თავისი კვიცით. გარდა ამისა, მან წელს მოიყვანა 100 ფუთი კარტოფილი და რამდენიმე ათეული ფუთი ქერი. კოლმეურნე სიხა ბუჩუკურმა 503 შრომადღე გამოიმუშავა და კოლმეურნეობიდან მიიღო 236 კილოგრამი ყველი, 63 კგრ. ერბო, 49 კგრ. მატყლი და ფულად 515 მანეთი. შეძლებულად ცხოვრობენ აგრეთვე პავლე, მოსე, გივი, ალექსი ბუჩუკურები და სხვ.

1935 წ. აქ ფული სრულიად არ განაწილებულა, 1936 წ. კი თვითეულ შრომადღეზე 1 მან. 15 კაპ. გაიცა. პროდუქტების — ყველის, ერბოსა და მატყლის რაოდენობა კი ერთი-ორად გაიზარდა.

სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების ურყევად გატარებით 1937 წელს ჩვენი კოლმეურნეობა აუცილებლად უკეთეს წარმატებებს მიაღწევს და გვიდაქელი კოლმეურნენი უფრო შეძლებულად და კულტურულად იცხოვრებენ.

სიმონ ბუჩუკური.

სოფ. გვიდაქის სტალინის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

საქართველოში ა. პუშკინის ჩამოსვლის მთავარი მიზანი

1829 წლის მაისში ა. პუშკინი მეფის მთავრობის სურვილის წინააღმდეგ საქართველოს ესტუმრა. ორკვირამდე დაჰყო თბილისში, შემდეგ გაემგზავრა კავკასიის ფრონტზე და მიიღო მონაწილეობა საომარ მოქმედებაში. 1 აგვისტოს ის ისევ თბილისშია, ხოლო 6 აგვისტოს მიემგზავრება უკან რუსეთში. ამ მგზავრობას შედეგად მოჰყვა რამდენიმე მისი ნაწარმოები: „კავკასიონი", „ზვავი", „გაფიზიდან", „დელიბაში", „ოლეგის ფარი", „მგზავრობა არზრუმს" და სხვ.

ჩვენთვის მეტად საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რა იყო ამ იშვიათი სტუმრობის მიზეზი და მიზანი. ა. პუშკინის ბიოგრაფების ცნობით, 1828 და 1829 წლები ა. პუშკინისათვის მეტად მძიმე წლები იყო: 1828 წლის მარტში მეფის მთავრობამ დაიწყო გამოძიება ა. პუშკინის ლექსის „ანდრე შენიეს" გავრცელების შესახებ; 1828 წლის ივნის-ივლისში მეფის მთავრობამ დაიწყო მეორე გამოძიება ა. პუშკინის ანტირელიგიური პოემის „გავრილიადის" შესახებ. ამ გამოძიებებს შედეგად მოჰყვა ის, რომ ა. პუშკინი დაჰკითხეს. მას ჩამოართვეს ხელწერილი, რომ უცენზუროდ არაფერი დაებეჭდა და გაევრცელებინა. იმავე დროს მთავრობამ მასზე საიდუმლო მეთვალყურეობა დააწესა.

1829 წელს ყოველივე ამას დაემატა ახალი გარემოება. ა. პუშკინს ძლიერ მოსწონდა ნატალია გონჩაროვა და მის მშობლებს წინადადება მისცა, რომ ნ. გონჩაროვა მას ცოლად გაყოლოდა, რაზედაც დადებითი პასუხი ვერ მიიღო. როგორც ბიოგრაფები გადმოგვცემენ, ა. პუშკინი იმდღესვე მიემგზავრება კავკასიაში.

ჩამოთვლილ ფაქტებში თითქოს მოცემულია საქართველოში ა. პუშკინის ჩამოსვლის მიზეზები და მიზანიც. გამოდის, რომ ის ჩვენში ჩამოვიდა სევდის გასაქარვებლად, რომ აქ ახალს და უცნობ პირობებში წარმტაცი ბუნების ზეგავლენით მოეშუშებინა სევდა და მწუხარება უკუეყარა და მორალურად და გონებრივად დასვენებულს და გაჯანსაღებულს ისევ განეგრძო თავისი დიდი საქმე — მომჯადოებელი პოეზიის სამსახური.

მთელი რიგი ფაქტები და საბუთები ჩვენ გვაიძულებს არ დავკმაყოფილდეთ ასეთი ახსნით.

საქართველოში ა. პუშკინის ჩამოსვლას კონკრეტულად შეიძლებოდა მიზნად ჰქონოდა: ენახა ახალი ქვეყნები, გაეცნო ახალი ხალხები და მათი ცხოვრება და ზნე-ჩვეულებანი; ენახა თავისი მკვიდრი ძმა, რომელიც თბილისში ნიჟეგოროდის პოლკში მსახურობდა (ბენკენდორფისადმი გაგზავნილ თავის ოფიციალურ ახსნა-განმარტებაში ა. პუშკინი თავის ჩამოსვლის ერთ-ერთ მიზნად სწორედ ძმის ნახვას ასახელებს. საგულისხმოა, რომ ა. პუშკინი ჯერ კიდევ 1827 წლის მაისში სწერდა თავის ძმას თბილისში... „ალბად საქართველოში ჩამოვალ, მაგრამ არა შენი ლამაზი თვალებისთვის, არამედ რაევსკისთვისო"); ენახა თავისი გულითადი მეგობარი ნ. რაევსკი და კავკასიაში გადმოსახლებული დეკაბრისტები. (თხზულების „მგზავრობა არზრუმს" წინასიტყვაობის შავში ა. პუშკინი კიდეც ასახელებს თავის გამგზავრების მიზნად „ძმის და ზოგიერთი მეგობრის" ნახვას); ენახა ომის თეატრი და ადგილები, რომელთაც „შეუძლიათ მისცენ მას მასალა თხზულებისათვის" (ა. პუშკინის სიტყვებია); მიეღო მონაწილეობა ომში, რაც კიდეც შეასრულა; და, ბოლოს, ომის სასარგებლოდ აეყოლიებინა თავისი ჩანგი და ომისა და მის ხელმძღვანელთათვის ქებათაქება შეესხა, რაც ძლიერ უნდოდა ოფიციალურ რუსეთს და კერძოდ გრაფ პასკევიჩს.

ა. პუშკინმა მეფის მთავრობას ეს იმედი არ გაუმართლა, მან არ შეასხა თურქეთის წინააღმდეგ მიმართულ ომს და მის ხელმძღვანელებს ხოტბა, არ უძღვნა ოდები, პირიქით, თავის ნაწერებში პოეტი იძლევა ამ ომის სატირას და კრიტიკას. თუ როგორი იყო ამ დროს ა. პუშკინის დამოკიდებულება მთავრობის დაპყრობითი პოლიტიკისადმი, სჩანს იმ ლექსიდან, რომლითაც თავდებოდა პუშკინის „კავკასიონი" და რომელიც მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნდა. ა. პუშკინი ამ ლექსში აღნიშნავს, რომ კავკასიაში „ლაღ თავისუფლებას კანონები ავიწროებენ", რომ აქ „ველური ტომი ხელისუფლების ქვეშ გმინავს", „ამჟამად უტყვი კავკასიონი აღშფოთებულია", „მას უცხო ძალები სჩაგრავს". ა. პუშკინისათვის ჩვეული სიძლიერით აქ დაგმობილია სამხედრო - ფეოდალური იმპერიალიზმის პოლიტიკა. ცხადია, ამის შემდეგ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თითქოს ა. პუშკინი ომით იყოს გატაცებული და მის სადიდებლად კავკასიაში ჩამოვიდა.

დაგვრჩა მაშასადამე, შემდეგი მოტივები: ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბუნებისა და ხალხთა ნახვა და გაცნობა; ძმისა და მეგობრების (ნ. რაევსკი, მთელი რიგი დეკაბრისტები) ნახვა; ომის თეატრის გაცნობა, არამც თუ ყველა ეს მომენტები ერთად აღებული, არამედ თავისთავად თვითეული მათგანიც სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ გავიგოთ და ავხსნათ პუშკინის ჩამოსვლა რუსეთიდან კავკასიაში და აქ 2-2 ნახევარი თვე დარჩენა.

მიუხედავად ამისა ჩვენ ვფიქრობთ, რომ ა. პუშკინი მარტო ამისათვის არ ჩამოსულა საქართველოში, უკეთ რომ ვსთქვათ, ეს არ ყოფილა ა. პუშკინის ჩვენში ჩამოსვლის მთავარი მიზანი.

მთელი რიგი მოსაზრებანი, ფაქტები და საბუთები გვიკარნახებენ დავასკვნათ, რომ საქართველოში ა. პუშკინის ჩამოსვლის მთავარი მიზანი იყო აქედან საზღვარგარედ გაქცევა*).

1824 წლის ივნის-ივლისში ა. პუშკინმა დააპირა ოდესიდან სტამბოლით საზღვარგარედ გაქცევა, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა. იმავე 1824 წლის ნოემბერ-დეკემბერში ა. პუშკინმა დააპირა დერპტით (იურიევი) საზღვარგარედ გაქცევა, მაგრამ ისევ უშედეგოდ.

1825 წლის დეკემბერში ა. პუშკინი პ. პლეტნევს სწერს: „რა უნდა გავაკეთო რუსეთში?".

1826 წლის 27 მაისს ა. პუშკინი სწერს თავის მეგობარს პ. ვიაზემსკის: „შენ, რომელიც დაბმული არა ხარ, როგორ შეგიძლია რუსეთში დარჩენა? თუ მეფემ ნება მომცა, მე აქ ერთ თვესაც არ გავჩერდები".

ამნაირად მეფის რუსეთი ა. პუშკინს სულს უხუთავს, მას გასაქანს არ აძლევს და პუშკინიც საზღვარგარედ გაქცევას ცდილობს, მასზე ოცნებობს.

1828 წლის აპრილში ა. პუშკინი თხოულობს გაუშვან ის საზღვარგარედ (საფრანგეთში ან იტალიაში), რაზედაც უარს ღებულობს.

1830 წლის იანვარში, უკვე კავკასიიდან დაბრუნების შემდეგ, ა. პუშკინი მთავრობას ისევ განცხადებას აძლევს და თხოვს გაუშვან ის საზღვარგარედ (საფრანგეთში ან იტალიაში) ან ჩინეთში რუსეთის მისიის შემადგენლობაში, რაზედაც კვლავ უარს ღებულობს.

ამნაირად, 1824—1830 წლებში ა. პუშკინისთვის დღის წესრიგში აქტუალურად დგას საზღვარგარედ გაქცევის საკითხი.

საზღვარგარედ გაქცევის იდეის ანარეკლს ჩვენ ვხედავთ ა. პუშკინის ნაწერებში „მგზავრობა არზრუმს" და „მონასტერი ყაზბეგზე", რომლებიც დაწერილია 1829 წელს. „არპაჩაიც, ეგ არის, მითხრა ყაზახმა. არპაჩაი! ჩვენი საზღვარი! ეს ღირდა არარატად... მე ჯერ არ მინახავს არასდროს სხვისი მიწა-წყალი. საზღვარი ჩემთვის რაღაც იდუმალი იყო. ბავშვობიდან მგზავრობა ჩემს საყვარელ ოცნებას შეადგენდა. შემდეგში მე დიდხანს მომიხდა ხეტიალი ხან სამხრეთში, ხან ჩრდილოეთში, მაგრამ არ გავშორებულვარ თვალუწვდენელი რუსეთის საზღვრებს. სიამოვნებით ჩაველი სანუკვარ მდინარეში და ჩემმა კეთილმა ცხენმა გადამიყვანა თურქეთის ნაპირას, მაგრამ იგი უკვე დაპყრობილი იყო: მე კვლავ რუსეთში ვიყავ" („მგზავრობა არზრუმს").

გაქცევაზეა ლაპარაკი ლექსში „მონასტერი ყაზბეგზე". ყაზბეგიდან პოეტის წინ იშლება „შორეული სანუკვარი ნაპირი". პოეტს სურს უთხრას ხეობას უკანასკნელი „მშვიდობით" და „გაექანოს თავისუფალი მწვერვალებისაკენ" და იქით, ღრუბლების იქით სენაკში „დაიმალოს ღმერთთან მეზობლად".

გაქცევისადმია მიძღვნილი ლექსი „გავემგზავროთ, მე მზად ვარ", რომელიც დათარიღებულია 1829 წლის 23 დეკემბრით.

ა. პუშკინი ჩამოვიდა საქართველოში მთავრობის ნებადაურთველად, მთავრობის სურვილის წინააღმდეგ და მრავალი სხვა დაბრკოლების გადალახვით.

და ბოლოს ამ ფაქტებს აგვირგვინებს და საკითხს ნათელს ჰფენს პ. ვიაზემსკის წერილი თავის ცოლისადმი. წერილი დაწერილია 1828 წლის 7 მაისს, მას შემდეგ, როცა ა. პუშკინმა უარი მიიღო საზღვარგარედ წასვლის ნებართვაზე (იხ. აკადემიის „პუშკინი—ვრემენნიკი"), პ. ვიაზემსკი ცოლს სწერდა: „პუშკინი მიდის კავკასიაში და კიდევ უფრო შორს, თუ მოხერხდაო".

როცა ა. პუშკინი ადგენდა საქართველოთი საზღვარგარედ გაქცევის მარშრუტს, უნდა ვიფიქროთ, მას სახეში ქონდა მოსაზრებანი:

პირველი საქართველოში მას ეგულებოდა მკვიდრი ძმა, გულითადი მეგობარი და გავლენიანი გენერალი ნ. რაევსკი და მთელი რიგი მეგობრები გადასახლებული დეკაბრისტები, ე. ი. საქართველოში იმ დროს პუშკინს ყავდა მეტად ახლობელი სანდო პირები, რომელთათვის მას შეეძლო თავისი გეგმა გაეზიარებინა და დახმარებაც მიეღო. ამ მხრივ დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ ა. პუშკინმა პეტერბურგში ვერ მიიღო კავკასიის ფრონტზე ჩასვლის ნებართვა, ხოლო ამ ნებართვის აღება აქ თბილისში მოხერხდა. მეორე —საზღვრის სიახლოვე, და მესამე— საომარი დროის სიურპრიზები, როცა მეომარი უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადასვლა - გადმოსვლა ხანდახან შეიძლება უფრო ადვილად მოხდეს, ვიდრე ჩვეულებრივ დროს.

რამ შეუშალა ხელი ა. პუშკინს თავის გეგმის განხორციელებაში?

უეჭველია, ერთი უმთავრესი დაბრკოლება იყო ის სასტიკი მეთვალყურეობა, რომლის ქვეშ ა. პუშკინი იმყოფებოდა. მას ფეხდაფეხ დასდევდნენ და განძრევის საშუალებას არ აძლევდნენ. გარეგნულად, რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ხდებოდა პოეტზე ზრუნვის საბაბით. გრაფი პასკევიჩი ა. პუშკინს თვალიდან არ იშორებდა, არზრუმში კი იგი თავის ბინაზე გადაიყვანა, ასე რომ ა. პუშკინი ფაქტიურად ოჯახურ პატიმრობაში მოჰყვა. ასეთივე სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ იყო ის თბილისშიაც.

ა. პუშკინი ყოველივე ამას ხედავდა, მან იცოდა, რომ პოლიცია ფეხზე იყო დაყენებული და მას თვალებს არ აშორებდა, ამიტომაც რუსეთში გასაგზავნ თავის წერილებს ის ფოსტას არ ანდობდა, არამედ საგანგებო პირების (დადიანი და სხვ.) საშუალებით აგზავნიდა.

ლ. შ.

---

*) ამ აზრს გაკვრით ეხება და იზიარებს ამხ. ტინიანოვიც (იხ. აკადემიის გამოცემა — „პუშკინი — ვრემენნიკი").

გიორგი ქუჩიშვილი

დიად სამშობლოს

ვიდრე მზე ბრწყინავს
მშობლიურ ცაზე,
ჩემო სამშობლოვ,
გწამდეს, იცოდე:
შენს ძლიერებას
და სილამაზეს
შეუქმნი შენებრ
მშვენიერ ოდებს.
და თუ არსებობს
ისეთი ხელი,
შენზე აღმართვა
რომ დააპიროს,—
მყის მოჰკვეთს ხალხის
მახვილი მჭრელი,
რომ შენი გული
არ გაიგმიროს.
ვინც კი დაჰკარგავს
შენს თვალში ნდობას,
ვინც არ დაზოგავს
შენს მოამაგეთ,—
რკინის ხელები
ყელს მოეჭდობა,
დაეხურება
სიკვდილის ბაგე.
შენ, მზეთა-მზეო!
ისე გვინათებ,
რომ არვის ძალუძს
შენი ჩაქრობა!
კრულვა შენს მგმობელს
და მოღალატეს,
ტყვია, ვინც შენდა
გაბედოს მტრობა!
შენ, საბჭოეთო,
რომელსაც გმართავს
დიდი სტალინის
სიბრძნე-სიმტკიცე,
რომელმაც წითლად
გადაანათა
ზღვათა და ხმელთა
უსაზღვრო სივრცე,—
ოდნავადაც კი
ვერ შეგარყევენ,
და ურყევ პასუხს
მტერს ხალხი მისცემს.

ა. პუშკინის ლექსები

1. პასუხად ფ. ა. ტუმანსკის

არაა იგი ჩერქეზთ ასული:
თუმც ქართლის ბარში დასაბამიდან
არ ჩამოსულა მსგავსი ქალწული
მუდამ მრისხანე მყინვარის მთიდან.

არ კრთის მის თვალში გიშერის შვერა:
მაგრამ მაშრიყის საუნჯე მთელი —
არ ღირს უტკბილეს სხივების მზერად
მის შუადღისებრ თვალთა ნათელის.

2. მონასტერი მყინვარზე

მყინვარო, ქედით მთების მფარავი —
თეთრი, მეფური შენი კარავი
ბრწყინავს მარადი სხივების ფრქვევით,
და მონასტერი ღრუბლების ზევით,
ვით კიდობანი ფრთაა მართული,
ოდნავ ჩანს მთების ზემოდან რხევით.

ნაპირი შორი, უცხო, ნატრული!
გამომათხოვა ნეტა ხევს ახლა
შვების მწვერვალზე მე ამაფრინა!
იქ, იმ სენაკში, ღრუბლებზე მაღლა,
ღმერთის მეზობლად რომ მომცა ბინა!

თარგმანი **ვასო გორგაძისა**

ა. პუშკინი

* * *

ჩემო ლაღლაჟა მქირდათ, კრიტიკოსო ღიპგაზრდილო,
მუდამ ჩვენი საწყალ მუზის საკიცხავად გამზადილო.
აბა ერთი აქეთ მოდი, მომიჯექი გვერდით ბარემ
გამოსცადე, შევძლებთ განა არ შეგვიპყროს სევდამ მწარემ.
რა სურათი გვიდგას თვალწინ: ლატაკ ქოხმახების წყება,
იმათ იქით გატიტვლებულ გაშლილ ველის დაქანება,
ზემოდან კი დასწოლია რუხ ღრუბლების მთელი ჯარი.
აქ სად ხედავ ნათელყანებს? ტყე უღრანი აქ სად არი?
სად ჩხრიალებს მარდი ღელე? მწირ ეზოში ვიგინდარად
ორ საწყალ ხეს ღობის ძირას ვხედავთ თვალის გასახარად.
მხოლოდ ორ ხეს ვხედავთ ჩვენ იქ. და მათშიაც ერთი სრულად,
შემოდგომის ხშირ წვიმისგან საცოდავად გაძარცულა.
მეორესაც ხომ ფურცლები შემჭკნარი აქვს და ყვითელი
და რომ ტლაპო ამოხროს მხოლოდ ქარის მოსვლას ელის.
სულ ეგაა. ეზოს შიგნით ძაღლიც არ ჩანს იქ ცოცხალი,
ეს კი მართლა, მოსჩანს გლეხი და მას მისდევს ორი ქალი.
გლეხი თავშიშველა არის; ხელით მიაქვს კუბო ბავშვის
და შორიდან ღვდლის შარმაც ბიჭს აჩქარებით გასძახის ის,
რომ მან მამას დაუძახოს, გააღოს საყდრის კარი. —
— „დრო სადა გვაქვს! უფრო ადრე დამემარხა უნდა მკვდარი!"
მოიწყინე?
— „არ იქნება ეგ ამბები უკუაგდო
და სიმღერა მხიარული ჩვენ შეგვითხზა და გაგვართო?
— სად მიდიხარ?
— „მოსკოვს — მსურს იქ მოვხვდე გრაფის დღეობაზე".
— დაიცადე, კარანტინი? — რაღას იტყვი ნეტა მასზე?
არ იცი რომ ჩვენს მხარეში მეფობს შავი ჭირი დიდი?
აქ დაჯექი და იცადე, როგორც ერთ დროს მე ვიცდიდი
კავკასიის პირქუშ ბჭესთან, — მე მორჩილი თქვენი მონა.
რა ძმაო ჯან? აღარ გვკიცხავ, განა სევდამ დაგალონა?

თარგ. **გრიგოლ ცეცხლაძისა**

ჩვენ გვწერენ

სადა ხართ, არამზადა „მამებო"

(ბათომი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

მათ დედების კალთებში მიატოვეს პატარა გივი, ლოლა, შოთა, ციალა და რევაზი. ამ ვაჟბატონებს არც მოქალაქეობრივი სინდისი აწუხებთ, არც საბჭოთა კანონებს ემორჩილებიან, არც მშობლიური სიყვარული ჩარჩენიათ გულში. ბავშვები წამოიზარდნენ: სწერენ, კითხულობენ, სკოლაში დადიან. ამასწინათ ისინი ნაძვის ხის ირგვლივ მხიარულობდნენ და ზეიმობდნენ ახალ წელს თავიანთ მეგობრებთან ერთად. საბჭოთა ხელისუფლების კალთაში მათ არ შესცივდებათ, მაგრამ ჩვენი ხელისუფლების კანონი სასტიკია და ულმობელი იმ არამზადების მიმართ, რომელთაც არაფრად მიაჩნიათ მოვალეობა და ემალებიან პროლეტარულ სამართალს, ფეხქვეშ სთელავენ საბჭოთა მოქალაქის საპატიო სახელს.

აი, ახლა ეს გოგო-ბიჭუნები ჩვენთან სხედან და საუბრობენ.

გივი ამბობს:

— მე ათი წლის ოქტომბრელი ვარ. ფრიადებზე ვსწავლობ ბათომის რკინიგზის არასრულ საშუალო სკოლაში. მამაჩემი არის (როგორც მეუბნებიან) **გრიგოლ ნიკოლოზის-ძე ჯანდიერი.** იგი ახლა თბილისშია, მაგრამ დედამ ვერ მიაგნო. გვემალება. მე ის არასოდეს მინახავს. არც მინდა ვნახო, თუ ასეთი არამზადა და გულქვაა. დედა მზრდის. ვცხოვრობ ბათომში.

ლოლა და შოთა ამბობენ:

— მამა ჩვენი არის **ბესარიონ ანდრიას-ძე კოსტავა** (ლოლა ახლა ბათომის მე-16 პედტექნიკუმის მეორე კურსზეა, ხოლო შოთა მე-18 სკოლის მე-6 კლასში). 1926 წლიდან მამა არავითარ ყურადღებას არ გვაქცევს. ვიმყოფებით დედის მზრუნველობის ქვეშ. ვსწავლობთ კარგად...

ლოლას კიდევაც რცხვენია ახლა ამ საკითხზე ლაპარაკი და თავისი მამის მაგივრად თვითონვე წითლდება.

ციალასა და რევაზსაც მოვუსმინოთ:

— მამა ჩვენი **გიორგი სარდიონის-ძე ქუნთელია** დიდიხანია აღარ ცხოვრობს ჩვენთან. პატარები დაგვტოვა. 1933 წ. მას სასამართლომ მიუსაჯა თვიურად 115 მანეთის გადახდა. სამ თვეს როგორც იყო გვიგზავნიდა. შემდეგ კი, როგორც გავიგეთ, კახეთში (წნორის-წყალში) წასულა. იქ უთხოვია სხვა ცოლი. თვითონ გურჯაანში მსახურებდა თურმე, ღვინის სარდაფში. დღეს აღარ ვიცით სად არის. ჩვენ დაგვტოვა მოხუცებულ ბებიასთან (დედამისთან). ახლა ვცხოვრობთ აბაშის რაიონში, სოფ. მარანში. ბებია ჩვენი, მაკრინე ქუნთელია, ღებულობს პენსიას და ამით გვარჩენს ჩვენც...

ასეთია ამ ბავშვების მწარე სიტყვები, ისინი ერთხმად ჰკიცხავენ თავიანთ „მამებს", იზრდებიან საბჭოთა სკოლებში და მოითხოვენ გაიძვერა მამების დასჯას.

○

გირჩევთ უგულო მამებო, ამ წერილის წაკითხვის შემდეგ მაინც გააღვიძოთ თქვენი დიდი ხნით მიძინებული მოქალაქეობრივი სინდისი. გაიხსენეთ, რომ თქვენ ცხოვრობთ სტალინურ ეპოქაში (თუმცა ამ ეპოქის ღირსნი არა ხართ). სტალინური კონსტიტუციის 130 მუხლი კი ამბობს:

„სსრ კავშირის თვითეული მოქალაქე ვალდებულია დაიცვას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია, შეასრულოს კანონები, დაიცვას შრომის დისციპლინა, პატიოსნად მოეკიდოს საზოგადოებრივ მოვალეობას, პატივისცემით მოეპყრას სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს".

მოველით თქვენს გამოხმაურებას, არამზადებო...

შ. ფურცხვანიძე.

ესპანეთის ფრონტებზე

მადრიდის დაცვის კომიტეტის ცნობა

პარიზი, 11 თებერვალი (საქდესი). მადრიდის დაცვის კომიტეტმა დღეს შუადღისას გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა:

„მეამბოხეებმა, რომლების წინსვლელობა შეჩერებული იქნა ხარამის სექტორში, გუშინდელი დღიდან განაახლეს თავისი იერიშები მონკლოას სექტორში, საუნივერსიტეტო უბანსა და ელ პლანტიოს სექტორში. მიუხედავად გააფთრებული ბრძოლებისა, რომლებიც მთელი ღამის განმავლობაში სწარმოებდა ფრონტის ამ უბანზე, მტერმა ვერცერთ პუნქტში ვერ შესძლო მთავრობის ჯარების წინააღმდეგობის დაძლევა.

ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მადრიდის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ

ვალენსია, 11 თებერვალი (საქდესი). ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი და გენერალური სამხედრო კომისარი ვაიო გამოვიდა განცხადებით, რომელშიც შეეხო მადრიდის ფრონტზე არსებულ მდგომარეობას. გააბათილა რა ცნობა, თითქოს მადრიდიდან ვალენსიისაკენ მიმავალი გზა მეამბოხეებს გადაეჭრათ და დედაქალაქს ფრიად სერიოზული საფრთხე ემუქრებოდეს, ვაიომ განაცხადა:

„აი ნამდვილად რა ხდება მადრიდთან მისასვლელებზე: 6 თებერვალს დილიდან დაწყებული, მოწინააღმდეგემ გააძლიერა თავისი იერიშები არტილერიისა და ტანკების დახმარებით სიემპოსუელოსა და სან მარტინ დე ლა ვეგას რაიონებში. მთავრობის ჯარებმა გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიეს მათ. ამის შემდეგ 7 და 8 თებერვალს მეამბოხენი გაშმაგებით ცდილობდნენ გაეფართოვებინათ თავისი ფრონტი, რათა მადრიდიდან ვალენსიისაკენ მიმავალ გზას თავისი ტყვიამფრქვევების ცეცხლით დამუქრებოდნენ. 8 თებერვალს რესპუბლიკური ჯარები ისეთ ძლიერ კონტრშეტევაზე გადავიდნენ, რომ მოწინააღმდეგე იძულებული იყო უკან დაეხია. რესპუბლიკელებმა განდევნეს მეამბოხეები კობერტასიდან და ვასია მადრიდის უბანზე. ამრიგად ჩვენ შევძელით მოგვეგერებინა მოწინააღმდეგის მესამე დიდი შემოტევა ესპანეთის დედაქალაქზე, რაც მიზნად ისახავდა ვალენსიისაკენ მიმავალი გზის გადაჭრას დასახელებულ რაიონში. 8 თებერვალს კონტრშეტევის შემდეგ ჩვენმა ჯარებმა არა თუ უკუაქციეს მოწინააღმდეგე, არამედ აგრეთვე მნიშვნელოვნად გაამაგრეს თავისი პოზიციები, შექმნეს რა ახალი დასაყრდენი პუნქტები მადრიდის დასაცავად".

თავის გამოსვლაში ვაიომ აღნიშნა, რომ 9 თებერვლიდან მტრის შემოტევა შესუსტდა.

კატალონიის მთავრობის გადაწყვეტილებანი

პარიზი, 14 თებერვალი (საქდესი). ჰავასის სააგენტო ბარსელონიდან გამოგზავნილი დეპეშით იუწყება, რომ კატალონიის მთავრობამ ერთსულოვნად გადასწყვიტა შეიყვანოს ძალაში დეკრეტი მობილიზაციის შესახებ, რომლითაც გათვალისწინებულია არმიაში 1934 და 1935 წელს გასაწვევთა ჩარიცხვა, აგრეთვე ჩარიცხვა არმიაშივე სახალხო მილიციისა ერთიანი სარდლობით. მან უნდა იმოქმედოს ესპანეთის რესპუბლიკის ცენტრალურ გენერალურ შტაბთან შეთანხმებით და ემორჩილებოდეს რეგლამენტს, რომელიც გამოქვეყნდება სასწრაფო წესით. იმავე დროს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება — საფორტიფიკაციო სამუშაოთა გაშლისა, თავდაცვის უმაღლესი საბჭოს დაუყოვნებლივ ორგანიზაციისა და სპეციალური კომისიის შექმნის შესახებ, სასურსათო, მიწათმოქმედებისა და სახალხო მეურნეობის დარგის მრჩეველთა (მინისტრთა) შემადგენლობით ფასების გადიდების წინააღმდეგ ზომების მისაღებად. კატალონიის მთავრობამ გადასწყვიტა სასწრაფოდ განახორციელოს მთელი არსებული ძალების გაერთიანების პროექტი საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად.

◇ ◇

გერმანიის სასამართლომ უარი სთქვა ამხ. ტელმანის პროცესის მოწყობაზე

ვენა, 11 თებერვალი (საქდესი). ვენის გაზეთი „ტელეგრაფი" აქვეყნებს თავისი ბერლინელი კორესპონდენტის ცნობას იმის შესახებ, რომ მის მიერ სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობათა მიხედვით ეგრეთწოდებული სახალხო სასამართლო, გაეცნო რა მასალას ტელმანის წინააღმდეგ, დაადგინა მოსპოს სასამართლო საქმე ტელმანის წინააღმდეგ და უარი სთქვას მისი პროცესის მოწყობაზე. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ პრაქტიკულად ეს ნიშნავს იმას, ტელმანი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში დაპატიმრებული უნდა იყოს სასამართლოს გადაწყვეტილების გამოუტანლად.

სასამართლოს ეს გადაწყვეტილება, — დასძენს თავის მხრით გაზეთი, — დიდ გაკვირვებას იწვევს მსოფლიო საზოგადოებრიობის მხრით, ვინაიდან არც ისე დიდი ხანია, რაც უცხოეთის ჟურნალისტებს ოფიციალურად აცნობებდნენ, რომ „მოსალოდნელია მონსტრ-პროცესის მოწყობა ტელმანის წინააღმდეგ, რათა მთელ ქვეყანას დაანახონ ის საშიშროება, რომლისგანაც ჰიტლერმა 1933 წლის მარტის დღეებში თავისი გაბედულობითა და ენერგიით იხსნა გერმანიის ხალხი და მთელი კულტურული მსოფლიო". სრულიად გაუგებარი და უცნობი რჩება, თუ რა მიზეზებმა აიძულეს სასამართლო უეცრად უარი ეთქვა პროცესის მოწყობაზე. გზადაგზა გაზეთი იუწყება, რომ უახლოეს დღეებში ბერლინში მოსალოდნელია დიდი პროცესის მოწყობა გერმანიის კომპარტიის წევრთა ჯგუფის წინააღმდეგ, რომელთაც ბრალი ედებათ, თითქოს მათ თავდასხმა მოეხდინოთ 1932 წლის მაისში ფაშისტ მოიერიშეთა სადგომზე.

◇ ◇ ◇

ლიონ ფეიხტვანგერი საბჭოთა კავშირის შესახებ

პრაღა, 10 თებერვალი (საქდესი). მწერალმა ლიონ ფეიხტვანგერმა, რომელიც პრაღაში ჩამოვიდა, პრაღის დემოკრატიულ გაზეთ „მონტაგის" რედაქტორს საუბარში გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი საბჭოთა კავშირის შესახებ. „ყოველივე იმას, რაც საბჭოთა კავშირში ხდება, — განაცხადა მან, — ვერ გაიგებ, თუ მხედველობაში არ მიიღებ ორ ფაქტს: ჯერ—ერთი, მთელი საბჭოთა კავშირი გართულია სოციალიზმის მშენებლობით, რომელსაც ვერავითარი ძალა მსოფლიოში ხელს ვერ შეუშლის; მეორე, მთელი საბჭოთა კავშირი დარწმუნებულია, რომ იგი უნდა მოემზადოს თავდასხმის მოსაგერიებლად, და ამიტომ აძლევენ ამჟამად საბჭოთა კავშირში ესოდენ დიდ მნიშვნელობას ქვეყნის თავდაცვისა და წითელი არმიის საკითხებს. ერთი სიტყვით საბჭოთა კავშირს აუცილებლად ესაჭიროება დისციპლინა, რადგან მისი მშენებლობა სწარმოებს ისეთ ვითარებაში, რომელიც შეიძლება დავახასიათოთ სიტყვებით: „ერთ ხელში მშენებლის ბარი, მეორეში — მახვილი".

აღნიშნა რა შემდეგ საბჭოთა კავშირის უდიდესი კულტურული ზრდა, რის საილუსტრაციოდ მან მოიყვანა მთელი რიგი განსაკუთრებული მაგალითები, კერძოდ, მხატვრული ლიტერატურის გავრცელების გასაოცარი ფარგლები, ფეიხტვანგერმა გადაჭრით უკუაგდო ზოგიერთი საზღვარგარეთელი მეთვალყურის, განსაკუთრებით ანდრე ჟიდის აზრი საბჭოთა კავშირის შესახებ, როგორც საბჭოთა სინამდვილის სრულ გაუგებლობაზე დაფუძნებული.

კითხვაზე ამხანაგ სტალინის შესახებ ფეიხტვანგერმა უპასუხა: „ხალხს სულ უფრო და უფრო უყვარს სტალინი. მისი სახელი სიმბოლოა, რომელიც მოასწავებს პურსა და მომავალს. სტალინი ახდენს მიზანსწრაფი ადამიანის, უდრეკი ნებისყოფის, ნათელი აზრით, სიმშვიდითა და რწმენით აღსავსე ადამიანის შთაბეჭდილებას". ფეიხტვანგერის აზრით, ამჟამად საბჭოთა კავშირის ძალას ყველაზე უკეთ ახასიათებს სამი რამ: 1) ახალი დემოკრატიული საბჭოთა კონსტიტუცია, 2) ახალგაზრდობის ენტუზიაზმი და 3) ამხანაგ სტალინის მიზანსწრაფვა და რწმენა.

გადავიდა რა ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის პროცესის შეფასებაზე, ფეიხტვანგერმა აღნიშნა, რომ პროცესი მიმდინარეობდა სრულიად ნორმალურ და წყნარ პირობებში.

„ყველაფერი, რაც საბჭოთა კავშირში ხდება, — სთქვა დასასრულ ფეიხტვანგერმა, — ამჟღავნებს ნებისყოფას სოციალიზმის მშენებლობისაკენ და მთელი კაცობრიობისათვის მშვიდობიანობის ხსნის სურვილს. საბჭოთა კავშირში მეფობს აბსოლუტური სიწყნარე და წესრიგი. მისი სიდიადე, მისი სიმძლავრე და ძალა მშვიდობიანობის საუკეთესო გარანტიებია".

[illegible] გაზეთ „გალის" რედაქტორთან საუბრის დროს ფეიხტვანგერმა კითხვაზე, თუ როგორია მისი შთაბეჭდილება ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის პროცესის შესახებ, განაცხადა:

„ტროცკი და ტროცკიზმი არავითარ ნამდვილ საფრთხეს არ წარმოადგენენ საბჭოთა კავშირისათვის. ტროცკისტები თავისი მავნებლობით უფრო მიზნად ისახავდნენ გამოეწვიათ საბჭოთა მოსახლეობის არაკეთილსასურველი ფსიქოლოგიური განწყობილება. მათ მიერ მიყენებული მატერიალური ზიანი დიდი არ არის. ომის საფრთხის შემთხვევაში არასგზით არ შეიძლება საბოტაჟის დაშვება და ამით აიხსნება პროცესი".

ამხანაგ სტალინთან თავისი საუბრის შესახებ ფეიხტვანგერმა სთქვა:

„მე ვშიშობდი, რომ ეს იქნებოდა ცოტად თუ ბევრად ოფიციალური საუბარი. მაგრამ ჩემში სასიხარულო გაოცება გამოიწვია იმან, რომ საუბარი სრულიად თავისუფალი და გულახდილი აღმოჩნდა. ჩვენ სრულიად ძალდაუტანებლად ვლაპარაკობდით ათასგვარ პოლიტიკურ და კულტურულ საკითხებზე. მე არაერთხელ მქონია შესაძლებლობა მელაპარაკნა სხვა ქვეყნების ბელადებთან და ხელმძღვანელებთან მაგრამ არცერთ მათგანთან არ შემეძლო ისე გულახდილად და გულწრფელად ლაპარაკი, როგორც სტალინთან".

თბილისის უნივერმაღის სამკერვალო სახელოსნო—„კომბინატის" მზა ტანსაცმლის ვიტრინა. სურათზე: ვიტრინის ერთერთი მოდელი, რომელმაც საშემოდგომო-საზამთრო სეზონის საკავშირო გამოფენაზე მე ორე ადგილი დაიკავა.

ფოტო რ. აკოფოვისა

პუშკინის დღეები საქართველოში

ა. ს. პუშკინის ძეგლის შესახებ თბილისში

თბილისში პუშკინის ქუჩის ბაღში მოთავსებული დიდი რუსი პოეტის ძეგლი ზეიმით გაიხსნა 1892 წლის 25 მაისს (ძვ. სტ.)

ძეგლის პროექტი შეადგინა თავისუფალმა მხატვარმა ფელიქს ხოდოროვიჩმა თბილისში და დამტკიცდა 1891 წლის 14 მარტს პეტერბურგში. იქვე ვერფელდის ქარხანაში ძეგლისათვის ჩამოასხეს ბრინჯაოს ბიუსტი მას შემდეგ, რაც იგი ფ. ხოდოროვიჩმა გამოძერწა.

კვარცხლბეკი ქუთათური წითელი და რუხი ქვისაგან და მთელი ქვის სამუშაო შესრულებულია თბილისელი ოსტატის ვინჩენცო პილეჯის მიერ.

ბიუსტის სიმაღლე, ძეგლის გახსნის დროის მასალის მიხედვით, არშინნახევარს უდრის, კვარცხლბეკისა კი—2 არშინსა და 12 გოჯს.

საერთო ღირებულება ძეგლისა, რომელიც აღმართეს ხელის მოწერით შეგროვებული ფულით, შეადგენდა 2.236 მანეთს.

კრებულში „პუშკინი საქართველოში", რომელიც მზადდება გამოსაშვებად, მოთავსებული იქნება პოეტ ი. გრიშაშვილის სპეციალური სტატია მიძღვნილი ა. ს. პუშკინის თბილისის ძეგლის ისტორიისადმი (საქდესი).

პუშკინის გამოფენა სამხატვრო აკადემიაში

18 თებერვალს საქართველოს სამხატვრო აკადემიაში გაიხსნება ა. ს. პუშკინისადმი მიძღვნილი აკადემიის სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა, სულ გამოფენილი იქნება 100-მდე სურათი. მათ შორის—პუშკინის მთელი რიგი პორტრეტები, სურათების სერია, დიდი პოეტის ნაწარმოებთა თემებზე: „კავკასიის ტყვე", „რუსლან და ლუდმილა", აგრეთვე სურათები, რომლებიც ცხადჰყოფენ პუშკინის ცხოვრების ზოგიერთ ეპიზოდს „პუშკინი თბილისში" და სხვ.

აკადემიის სტუდენტებმა ორი თვის განმავლობაში თვალსაჩინო სამზადისი ჩაატარეს, ვიდრე მუშაობას შეუდგებოდნენ. აკადემიის ყველა კურსზე ჩატარდა საუბრები პუშკინის თემებზე. სტუდენტები პედაგოგთა ხელმძღვანელობით ეცნობოდნენ დიდი რუსი პოეტის ნაწარმოებს. ა. ს. პუშკინის ცხოვრებასა და შემოქმედებას მიუძღვნეს განსაკუთრებული მხატვრული საღამო, რომელზედაც საინტერესო მოხსენება გააკეთა დოც. ქ. კაპანელმა. (საქდესი).

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალში

16 თებერვალს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის შენობაში გაიმართება პუშკინის საიუბილეო საღამო, რომელიც ეწყობა ფილიალის სისტემაში შემავალი ყველა სამეცნიერო ინსტიტუტისა და დაწესებულების მუშაკთათვის.

საღამო გაიხსნება მთელი რიგი მოხსენებებით: დოც. ა. ჩხეიძისა თემაზე: „პუშკინის ცხოვრება და შემოქმედება", პროფ. გ. ახვლედიანისა—„პუშკინის ენა და სტილი" და დოც. ა. ნიკოლაძისა—„პუშკინი საქართველოში".

მეორე განყოფილება შესდგება თვითმოქმედი გამოსვლებისაგან, აგრეთვე პოეტთა და ოპერის არტისტთა გამოსვლებისაგან.

ფილიალში ეწყობა პუშკინის მცირე გამოფენა. (საქდესი).

◇

ქართველი მწერლები აფხაზურ ენაზე

აფხაზეთის ცნობილმა პოეტმა და მწერალმა დიმიტრი გულიამ, რომელსაც ამას წინათ სამწერლო მოღვაწეობის 45 წლის იუბილე გადაუხადეს, ხელი მოჰკიდა ქართველი მწერლების ნაწარმოებთა თარგმნას აფხაზურ ენაზე.

რამდენიმე ხნის წინათ აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა დ. გულიას მიერ თარგმნილი დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე", ხოლო ამ დღეებში დაიბეჭდა და ცალკე წიგნად გამოვიდა მის მიერვე თარგმნილი აკაკი წერეთლის ცნობილი პოემა „გამზრდელი".

ორივე წიგნი დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე და დართული აქვს ლამაზი ილუსტრაციები.

დიმიტრი გულია ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღეებისათვის აგრეთვე ამზადებს ილიას რამდენიმე ნაწარმოების თარგმანს.

ხელოვნება

ოპერის თეატრმა განაახლა მუშაობა

11 თებერვალს ოპერისა და ბალეტის თბილისის ორდენოსანმა თეატრმა განაახლა მუშაობა. დაიდგა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი".

დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. სპექტაკლს დიდი წარმატება ჰქონდა. მოქმედებას ხშირად მქუხარე ტაშით აწყვეტინებდნენ. „დაისის" შესანიშნავმა მელოდიებმა დაიპყრეს მაყურებლები. განსაკუთრებული ინტერესით ჩაიარა ცეკვამ პირველ და მეორე აქტში. ცეკვა ორგანულად ჩაქსოვილია ოპერის მუსიკალურ ტექსტში და კიდევ უფრო მკაფიო ხალხურ კოლორიტს აძლევს მას.

მაყურებელთა ერთსულოვანი მოთხოვნით ლეკური პირველ მოქმედებაში განმეორებულ იქნა. შესანიშნავად ცეკვავდნენ ორდენოსნები: დამსახურებული არტისტი ლილი გვარამაძე, ი. სუხიშვილი, ნონიაშვილი, ბარხუდაროვი და ბალეტის სოლისტი ჩიხლაძე.

დიდი წარმატება ხვდათ მომღერლებს. შემსრულებელნი ყველანი ორდენოსნები იყვნენ. მაროს მღეროდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ეკ. სოხაძე, მალხაზს, — დამს. არტ. ნ. ქუმსიაშვილი, კიაზოს—პ. ამირანაშვილი, ტიტოს—ზ. სვანიძე, ცანგალას—ვ. ხამაშურიძე. ყველანი საუცხოოდ მღეროდნენ და თამაშობდნენ.

მწყობრად და ტემპერამენტით მღერის გუნდი. გუნდები და საერთოდ მასობრივი სცენები ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებენ, განსაკუთრებით ოპერის ფინალში, სადაც გუნდი და ორკესტრი ერთ მძლავრ მოძრაობაშია გაერთიანებული.

ყოველი აქტის შემდეგ მაყურებლები რამდენიმეჯერ იწვევდნენ მთავარი როლების შემსრულებლებს. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ კი ოვაცია გაუმართეს მთელ დასს.

გ.

◇

სრულიად - საკავშირო სათხილამურო შეჯიბრებაზე

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა დაამტკიცა რესპუბლიკის მეთხილამურეთა ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სრულიად-საკავშირო სათხილამურო შეჯიბრებაში. შეჯიბრება მოხდება მოსკოვში 22-დან 25 თებერვლამდე.

საქართველოს გუნდის შემადგენლობაში შედიან თბილისელი მეთხილამურენი კოსმაჩევსკი, მესხიშვილი, ფანჯაკიძე, გ. მიქაბერიძე და ბათომელი მეთხილამურენი ბულიგინი, ბელიჩენკო, ხიტროვა და ეგოროვა.

სრულიად-საკავშირო სათხილამურო შეჯიბრებათა პროგრამაში შეტანილია რბენა 15 და 20 კილომეტრზე (მამაკაცთათვის), ხტომა ტრამპლინიდან, სლალომი და რბენა 5 და 15 კილომეტრზე ქალთათვის (საქდესი).

კასპის რაიონის პარტორგები და პროპაგანდისტები „კომუნისტის" რედაქციაში

7 თებერვალს „კომუნისტის" რედაქციას ესტუმრნენ კასპის რაიონის პარტორგები, ჯგუფორგები, პროპაგანდისტები, აგიტატორები და მესაუბრე-წამკითხველები, სულ 40-მდე კაცი. ჯგუფი ჩამოვიდა თბილისში საქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის კულტგანყოფილების გამგის ამხ. კარლო ბაბილოძის ხელმძღვანელობით. ჯგუფმა დაათვალიერა საქართველოს მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც მიძღვნილია ამხანაგ **ლ. ბერიას** შრომისადმი „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის".

ჩამოსულნი ესტუმრნენ აგრეთვე აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციას, სადაც საუბარი ჰქონდათ პარტიულ მუშაობაში გამოცდილების ურთიერთ გაზიარების მიზნით, შემდეგ დაათვალიერეს ზოოპარკი და ნახეს ახალი ფილმი „დარიკო".

რედაქციაში სტუმრებს ესაუბრნენ რედაქციის პასუხისმგებელი მუშაკები. სიტყვებით გამოვიდნენ: ამხ. კ. ბაბილოძე, კასპის ცემენტის ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. ნიკ. შაველაშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ ადგილობრივ პოლიტსკოლაში მეცადინეობა წარმატებით მიმდინარეობს. მუშები დიდ აქტივობას იჩენენ პოლიტცოდნის შეთვისებაში, რასაც ის გარემოებაც ადასტურებს, რომ იშვიათია, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში, მეცადინეობაზე მსმენელთა დაკლება. საგიტაციო მუშაობა ქარხანაში დღემდი სუსტად იყო დაყენებული. რაიკომის მიერ [illegible] დღეს, [illegible] თან სწორდება და საგიტაციო მუშაობა ისეთი მასშტაბით ჩაღდება, როგორიც მასების გაზრდილ პოლიტიკურ აქტივობას შეეფერება.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა სოფ. ალაიახის კოლმეურნეობის პარტორგი ამხ. რეზო ფეიქრიშვილი. იგი შეეხო კოლმეურნეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას და კოლმეურნეობაში მომუშავე კომუნისტების ავანგარდულ როლს.

— ჩვენი კოლმეურნეების კულტურული განვითარების დონემ, — აღნიშნა მან—შესამჩნევად აიწია. ახლა ჩვენთან იშვიათია ისეთი კოლმეურნე, რომელიც გაზეთს არ კითხულობდეს და ყოველდღიურად არ ეცნობოდეს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას. ამ მხრივ დიდ სამსახურს გვიწევენ გაზეთების ხმამაღლა წამკითხველები. ისინი გადიან ველად მომუშავე კოლმეურნეებთან და შესვენებისას ხმამაღლა კითხულობენ გაზეთებს. უდიდესი აღშფოთებით მოისმინეს ჩვენმა კოლმეურნეებმა ცნობა ტროცკისტ-ჯაშუშთა მოღალატეობის შესახებ და ყველამ ერთსულოვნად მოიწონა სასამართლოს განაჩენი.

დასასრულ, პარტიულ - მასობრივი და საპროპაგანდო - საგიტაციო საკითხებზე ილაპარაკა ამხ. **გრ. მუშიშვილმა**.

◇

ფეხბურთი

„დინამო"—„ლოკომოტივი"—4:1

თბილმა მზიანმა დარმა 12 თებერვალს დიდძალი ხალხი მიიზიდა „დინამოს" სტადიონზე. ამ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ პირველობის ძველი „მოქიშპენი", ქალაქის უძლიერესი გუნდები—„დინამო" და „ლოკომოტივი".

მათი უკანასკნელი შეხვედრიდან საკმაო დრომ განვლო. „დინამო" მას შემდეგ გაძლიერდა, დაწინაურდა, საკავშირო პირველობის ერთერთი უძლიერესი პრეტენდენტი შეიქმნა, „ლოკომოტივმა" კი მცირე ცვლილება განიცადა, არსებითად ისეთივე დარჩა, როგორიც იყო. მიუხედავად ამისა, აღნიშნული გუნდების შეჯიბრებას დიდი ინტერესით მოელოდნენ ფეხბურთის მოყვარულები. ამიტომაც ამ დღეს სტადიონზე ათიათასამდე კაცმა მოიყარა თავი.

თამაშის დაწყების წინ გუნდები მიესალმნენ ერთმანეთს, ლოკომოტიველებმა ყვავილების დიდი თაიგული უძღვნეს „მოწინააღმდეგეს". სრულ 3 საათზე შეჯიბრება დაიწყო.

„ლოკომოტივს" ქარის წინააღმდეგ უხდება თამაში. მიუხედავად ამისა, რკინიგზელები მტკიცედ იცავენ თავს და დროგამოშვებით შეტევაზეც კი გადადიან. მე-15 წუთზე ლოკომოტიველი გ. აფრიდონიძე მოხერხებულად გაიტაცებს ბურთს და მძლავრად ურტყამს გოლში, დოროხოვს ხელიდან უსხლტება დაჭერილი ბურთი, მოუსწრებს იგივე აფრიდონიძე და ბადეში შეაგორებს მას. ტრიბუნები მქუხარე ტაშით მიესალმნენ „ლოკომოტივს" პირველ წარმატებას.

„დინამო" მოულოდნელ მარცხს გაშლილი შეტევით უპასუხებს. არ გასულა ხუთი წუთიც, რომ „ლოკომოტივის" ბადეში საპასუხო ბურთი შევარდა.

ტაიმის ბოლოს დინამოელებმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს და თამაშის პირველი განყოფილება თავის სასარგებლოდ დაამთავრეს 2:1.

მეორე ტაიმში თამაშმა უფრო თანაბარი ხასიათი მიიღო. ბურთი ხშირად ტრიალებს ორივე გუნდის კარებთან. ლოკომოტიველები ვერ იყენებენ თავის მიერ შექმნილ ხელსაყრელ მომენტებს, გოლის წინ იბნევიან და ვერ ურტყამენ კარებში, დინამოელები კი, როგორც მოსალოდნელი იყო, მეტ ოსტატობას იჩენენ და შედეგსაც აღწევენ: მეორე ტაიმში მათ ორი ბურთი გაიტანეს და შეჯიბრება მოიგეს ანგარიშით 4:1.

საკმაოდ მიუდგომლად ვერ სჯიდა ნ. ლარიონოვი.

ქ. მ.

◇

ახალი ამბები

○ **გურჯაანში** მთავრდება სრული საშუალო სკოლის შენობის აგება. მშენებლობაზე 350.000 მანეთი დაიხარჯება.

○ **საგაზაფხულო** სასოფლო-სამეურნეო კამპანიების კულტურული მომსახურების გასაუმჯობესებლად განსახკომი ხაშურსა, ქუთაისსა და ახალქალაქში იწვევს კლუბის მუშაკთა, პოლიტგანინსპექტორთა და საკოლმეურნეო აქტივის კურს-კონფერენციებს.

○ **მომავალი** სასწავლო წლიდან საქართველოში გაიხსნება მოზრდილთა 52 არასრული და სრული საშუალო სკოლა.

○ **გურჯაანსა და სიღნაღში** გაიხსნება უპატრონო ბავშვთა სახლები, თვითეული 50 ბავშვისათვის.

○ **საბავშვო სახლების** კეთილმოწყობისათვის წელს გადადებულია 550 ათასი მანეთი.

○ **განსახკომი** კლუბებისათვის ამზადებს პლაკატს, სადაც მოცემული იქნება სტალინური კონსტიტუციის სქემა.

ექსტერნატი მასწავლებელთათვის

მასწავლებელთა საატესტაციო კომისიები სათანადო ცენზის არ მქონე მასწავლებლებს პირობით სტოვებენ პედაგოგიურ სამუშაოზე. ასეთ პედაგოგებს ავალებენ განსაზღვრულ ვადაში აამაღლონ საკუთარი კვალიფიკაცია, უქმნიან ყოველგვარ პირობას სწავლის გაგრძელებისა და პედაგოგიური სასწავლებლის დამთავრებისათვის.

განსახკომის ბრძანებით დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების პირველი ოთხი კლასის მასწავლებელთა საექსტერნო გამოცდა დავალებული აქვთ თბილისის ქართულ, რუსულ, თურქულ, სომხურ და ოსურ პედტექნიკუმებს, თელავის, გორის, ბორჯომის, ჯუღელის, ქუთაისის, ამბროლაურის, ცაგერის, წულუკიძის, მესტიის, ზუგდიდის, ცხაკაის, მახარაძის, სოხუმის, ბათომის, სტალინირის, ახალციხისა და ახალქალაქის პედაგოგიურ ტექნიკუმებს.

არასრული საშუალო და საშუალო სკოლების მე-5, მე-6 და მე-7 კლასების მასწავლებელთა საექსტერნო გამოცდების ჩაბარება დავალებული აქვთ სამასწავლებლო, სტაციონარულ და დაუსწრებელ პედაგოგიურ ინსტიტუტებს.

საშუალო სკოლის მასწავლებელთა საექსტერნო გამოცდები იწარმოებს სტაციონარულ და დაუსწრებელ პედინსტიტუტებში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

პედტექნიკუმებში, ინსტიტუტებში და სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებელთა საგამოცდო სესიები დანიშნულია წელიწადში სამჯერ: საზამთრო არდადეგების პერიოდში, სასწავლო წლის დასასრულსა და დასაწყისში.

საატესტაციო კომისიების თავმჯდომარეები შეადგენენ გამოცდებზე დასაშვებ მასწავლებელთა სიებს, რომლებსაც წარუდგენენ განსახკომსა და იმ სასწავლებლებს, სადაც საექსტერნო გამოცდების ჩასაბარებლად იქნებიან მიმაგრებულნი.

◇

შემთხვევები

# **ბოროტმოქმედთა დაპატიმრება.** 11 თებერვალს დღისით ქალაქის მილიციის პირველი დივიზიონის მილიციელმა ამხ. შიუკაშვილმა მილიციის განყოფილებაში მიჰყავდა მოქალაქეთა მითითებით დაპატიმრებული ორი საეჭვო პირი. მილიციის პირველ განყოფილებაში შესვლისას ერთ-ერთმა პატიმარმა მოულოდნელად ამოიღო რევოლვერი და ორჯერ ესროლა მილიციელ შიუკაშვილს, მაგრამ ააცდინა, თვითონ კი გაიქცა. მილიციელი შიუკაშვილი არ დაიბნა, გაქცეულ ბოროტმოქმედს თვითონ ესროლა რევოლვერი და დასჭრა. დაჭრის მიუხედავად ბოროტმოქმედი გაიქცა. მიღებული ზომებით ის მალე დააპატიმრეს. დაპატიმრებული აღმოჩნდა დ. ხ. ხარატაშვილი, იგივე გელაშვილი, იგივე აბულაძე, რომელსაც აღმოაჩნდა „ნაგანის" სისტემის რევოლვერი, ვაზნები და მილიციის ფორმის ნიშნები. მეორე ბოროტმოქმედი აღმოჩნდა შრომა-გასწორების ბანაკიდან გაქცეული დ. დ. ქვეთენაძე, რომელსაც მილიციის ორგანოები დაეძებდნენ.

# **უბედური შემთხვევა.** 12 თებერვალს საბაუს ქუჩაზე მე-2 მარშრუტის ტრამვაიზე შეხტომის ცდის დროს მისაბმელ ვაგონქვეშ მოჰყვა მოქ. შმიდტი, რომელიც იქვე გარდაიცვალა.

# **ავარია.** 12 თებერვალს საბარგო ავტომანქანა № 65—72, რომელსაც მართავდა შოფერი სიმაკი, გადაჭარბებული სისწრაფის გამო საქართველოს სამხედრო გზის ერთერთ მოსახვევში თხრილში გადავარდა. მანქანა საგრძნობლად დაზიანდა. არავინ დაშავებულა. შოფერს პასუხისგებაში აძლევენ.

თბილისის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი
14-II ჩიო-ჩიო-სან
15-II დაისი
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 11 საათიდან საღამოს 10 საათამდე.

მარჯანიშვილის სახ. თეატრი
14-II წარ. № 104 იცკა რიჟინაშვილი
15-II წარ. № 105 იცკა რიჟინაშვილი

ექიმი ი. ჭეიშვილი
კანის და ვენერიული ავად.
იღებს: დილის 8—9 ს. და საღამოს 7—8 ს.
კამოს ქუჩა № 72.

სახცირკი
ტელ. 3-11-44
18 თებ. 2 წარ. დღისით
კიოს მონაწ.

14, 15, 16, 17 და 18 თებერვალს
უდიდესი სახ. ატრაქციონის
კიოს
და მისი 25 ასისტენტის
უკანასკნელი ხუთი გამოსათხოვარი გამოსვლა.
კიოს ყველა ნომრის
სრული გამომჟღავნება
ახალი გასტროლიორები
დასაწყისი 8 ს. 30 წ.
სალარო 12—2 ს და 5 ს.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი
14-II ალკაზარ
15-II ანზორ

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში
ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30
დამკვრელი 7, 9, 11
კომკავშირი რელი 6 30, 8-30, 10-3
რ. ლუქსემბ. 5, 7, 9, 11
26 კომ. სახ. 5, 7, 9, 11
ახალი ამბები დასაწ. 6-30
დადგმის მესამე კვირა
ხმოვანი მხატვრული ფილმი
დარიკო
საგმირო ეპოპეა ეგ. ნინოშვილის ნაწარმ. მიხედვით.
ავტორი-რეჟისორი სიკო დოლიძე.
ოპერატორი შ. აფაქიძე.
ხმ. ფილმი ბახჩისარაის შადრევანი, ესპანეთის ამბები № 13

განსახკომის უმაღლეს სასწავლებელთათვის მოსამზადებელი კურსები
ხსნის ახალ ჯგუფს.
პირობების გაგება საღ. 6 საათიდან საბჭოს ქ. № 75. მე-29 სკოლა. მე-2 სართული.
16775

ამ ბოლო დროს ამიერ კავკასიის ქალაქებსა და რაიონებში დაწესებულებებსა და საცხოვრებელ სახლებში გახშირდა ხანძრის შემთხვევები იმ ადვილაალებადი მასალების ალების გამო რომლებსაც იატაკების საწმენდად და წასასმელად ხმარობენ.
საცხოვრებელ სახლებში ხანძრები ძირითადად იმის შედეგად ხდება, რომ დიასახლისები იატაკის საწმენდ მასტიკას შეთბობისას უმატებენ ნავთს, ლიგროინსა და ბენზინს. აღნიშნული ნარევი ოდნავ გადაჭარბებით გახურებისას (რაც ძალიან მალე ხდება) ფეთქდება და ხდება ხანძარი.
ხანძრები სხვა შენობებში ხდებოდა ისეთი მცირეოდენი თბოეფექტებისაგან, როგორიცაა ჩაუმქრალი ასანთი ან პაპიროსის ნამწვი, როდესაც მას ნავთ-ბენზინით გაწმენდილ ან ნავთ ბენზინნარევი მასტიკაწასმულ იატაკზე დააგდებენ.
აღნიშნული მიზეზით გამოწვეული ყველა ხანძარი, სწრაფად გავრცელების გამო, მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალსა და ადამიანთა მსხვერპლს იწვევდა.
ასე, მაგალითად. გას. წლ. 14 სექტემბერს ქ. თბილისში ახლად აგებულ სკოლაში, ბენზინნარევი მასტიკაწასმულ იატაკზე მუშამ დააგდო ჩაუმქრალი ასანთი. მაშინვე მოხდა ხანძარი. რომლის შედეგად ერთი მუშა სასიკვდილოდ დაიწვა, ხოლო ორი სხვა მუშა დაწვისაგან ძლიერ დაშავდა.
ასეთ მოვლენათა თავიდან აცილების მიზნით
ა-კ. სფსრ და საქ. სსრ შინსახკომთან არსებული
სახელმწიფო-სახანძრო ზედამხედველობა
კატეგორიულად კრძალავს:
როგორც საცხოვრებელი სახლების ბინებში, ისე საზოგადოებრივ შენობებში იატაკების წმენდას ნავთით, ლიგროინით, ბენზინით და იატაკებისათვის ნავთ, ლიგროინ და ბენზინნარევი მასტიკის წასმას.
ზემოხსენებულის შეუსრულებლობაში დამნაშავენი, საქ. სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1935 წ. 25 ნოემბრის № 97 დადგენილების საფუძველზე დაჯარიმებული იქნებიან 200 მანეთამდე ხოლო განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში მიცემული იქნებიან პასუხისგებაში სასამართლოს წესით.
ა-კ. სფსრ და საქ. სსრ შინსახკომის სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსი დავიდოვი.
1507

სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო ინსტიტუტი ქ. სოხუმში
ამით აცხადებს, რომ სახელმწიფო გამოცდების ჩასაბარებლად იწვევს 1-ლი მარტისათვის ამავე ინსტიტუტის 1934 წ. თეორიულ კურსდამთავრებულ შემდეგ პირთ, რომელთაც არა აქვთ დაცული სადიპლომო შრომები:
ხ. კ. ახათიანი, ს. ენ. ალანია, შ. ო. ატანესიანი, კ. ა. ახათიანი, გ. ფ. ბარნოვი, შ. ხ. ვარდოსანიძე, ს. ვ. გაბუნია, ა. მ. გაბელი, ვ. ხ. გრეცინგერ, ქ. მ. გაგუა, ა. მ. გოგოშიძე, ხ. ტ. ჯოჯუა, გ. გ. კახიანი, პ. ხ. კერესელიძე, თ. გ. კეჭეკმაძე, ნ. გ. კაკაბაძე, ხ. უ. კომახიძე, ნ. გ. ლომთათიძე, ო. ხ. მაისურაძე, ს. პ. პოგოსოვი, ვ. პ. რამიშვილი, ლ. ფ. სპირიდონოვა, შ. გ. სანაძე, ვ. გ. სტამბულიდი, გ. ი. წულაია, ა. ი. ჩხეიძე, ვ. გ. შულცი, ლ. ა. შარვაძე, ვ. ა. შელია.
ვინც აღნიშნული დროისთვის არ გამოცხადდება, ჰკარგავს შემდეგისათვის სახ. გამოცდების ჩაბარების უფლებას.
44
დირექცია.

ორგანიზაციების, საწარმოების, ფაბქარხადგილკომების, პრესის დარგში თბილისის საწარმოთა საზოგადოებრივი რწმუნებულების და ჟურნალ-გაზეთებზე ხელისმომწერთა საყურადღებოდ
ვინაიდან 1937 წლის თებერვალი 28 დღით არის მარტისათვის ხელისმოწერის მიღების უკანასკნელ ვადად თბილისში დაწესებულია: ცენტრალურ (მოსკოვის) ჟურნალ-გაზეთებზე 21 თებერვალი, თბილისის გაზეთებზე—24 თებერვალი.
აღნიშნულ ვადამდე ხელისმოწერა სწარმოებს „სოიუზპეჩატის" ყველა საქალაქო რაიბიუროსა და საფოსტო განყოფილებაში.
დააჩქარეთ ხელისმოწერა მარტისათვის.
ვადაზე დროულად ჩაბარებული გრძელვადიანი ხელისმოწერა უზრუნველჰყოფს ხელისმომწერთათვის გამოწერილი ჟურნალ-გაზეთების წესიერ მიწოდებას.
დროზე ჩააბარეთ ხელისმოწერა, ნუ გადასდებთ ვადის უკანასკნელ დღეებისათვის.
ხელისმოწერის ქვითრების მიღებისას შეამოწმეთ, სწორად და გასაგებად არის თუ არა აღნიშნული იქ თქვენი მისამართი, გვარი, სახელი, მამის სახელი და ხელმოწერის ვადა.
23 4-2
„სოიუზპეჩატის" საქართველოს განყოფილება.

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16 და გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, საქმდივნოსი: 3—06—88. განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეო—3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, და მის რედაქტორის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის —3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ხ. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ — 8205